ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 19 ივლისი 2001 №134 (1407) | ფასი 50 თეთრი


## გიორგი დეკანოსიძე გერმანელებთან ომს იწყებს



„ფიურტის“ ცენტრში ფეხის დასადგმელი ადგილი არ დარჩა

## რეალმა გაისკა ვერ გარისკა

„ვალენსიას“ მადრიდის გაძლიერებას „ლაციოს“ ნაკლები ფული ურჩევნია

# იტალიამ საქართველოს ვერ უშველა

**ევროპის კადეტთა ჩემპიონატი**

A ჯგუფი. V ტური. 18 ივლისი

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 92 |
| საქართველო | 87 |

გუშინ რიგაში საქართველოს ნაკრებმა ევროპის კადეტთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ქვეჯგუფში ბოლო მატჩი გამართა ესპანელებთან და ხუთი ქულით დამარცხდა, თუმცა ამ შედეგს ჩვენებისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ქართველების ბედი მატჩამდე გაირკვა, მათი მეოთხედფინალის მიღმა დარჩენა იტალია — თურქეთის შეხვედრაში გადაწყდა. საქართველოს ნაკრებს მხოლოდ თურქების მარცხი აძლევდა ხელს, რათა შემდეგ ეტაპზე გასულიყო. იტალიელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, მაგრამ შეხვედრა ორი ქულით დათმეს. ჩვენმა ნაკრებმა ქვეჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა და მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის გააგრძელებს თამაშს. ხვალ ჩვენი კადეტები B ჯგუფში მეექვსე ადგილზე გასულ გუნდს შეხვდებიან.

# ტორპედო მარცხენა ფეხზე ადგა

## აშვეთიას ცაციით გაიტანა, აკოფიანის ცაციით გამოიტანა

70-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ ქართველთათვის უჩვევი მოხდენილობა-სიზუსტით დაარტყა შორი საჯარიმო და ქუთაისის „ტორპედოს“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისკენ გაუკვალა გზა. მაგრამ, რომ არა ქუთაისელთა ახალწვეულ ვახტანგ აკოფიანის ცაცია, მატჩის დასრულებამდე ორიოდ წუთით ადრე ბურთს ცარიელი კარის ხაზთან რომ დაუხვდა, რევაზ ძოძუაშვილსა და ქუთაისელებს თავშისაცემად გაუხდებოდათ საქმე, დანიური „კოპენჰაგენი“ კი მეორე ეტაპზე „ტორპედოს“ გუშინდელ მეტოქეს, ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“ გაეჯიბრებოდა.

ასეა თუ ისე, ავად თუ კარგად, საქართველოს ორგზის ჩემპიონმა შეძლო „ლინფილდის“ დამარცხება და „კოპენჰაგენის“ 25 ივლისისთვის სამასპინძლოდ მოემზადება.

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე



მიხეილ აშვეთიამ თავადაც გაიხარა და ქომაგიც გაახარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2001-2002. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ტორპედო 1:0 ლინფილდი

ქუთაისი. „ტორპედო“. 10 000 მაყურებელი (ტევადობა 19 432). 18 ივლისი. 21 საათი

პირველი მატჩი 0:0

1:0 აშვეთია (70)

ტორპედო: გვარამაძე, ბკოფიანი, აბრამიძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე, დიდავა, ახალკაცი (პარამონოვი 46), ასათიანი, აშვეთია (გონჩაროვი 85), ზ. ქუთათელაძე (მახვილაძე 75)
სათადარიგონი: სტურუა; ისიანი, გ. შენგელია, ბაბუნაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

ლინფილდი: რობინსონი, ბეილი, მაკშეინი, კოლიე, უ. მერფი, მარკსი (სკიტსი 65), რ. კელი (ლარმური 76), გორმანი, ნ. კელი (დ. მერფი 65), პიკინგი, გ. ფერგიუსონი
სათადარიგონი: მანუსი; არტური
მწვრთნელი: დევიდ ჯეფრი

გაფრთხილება: ქემოკლიძე (9), კოლიე (26), მაკშეინი (30), თოდუა (88)

გაძევება: ხვადაგიანი (82), ბეილი (83)

მსაჯები: ჟაკ ვან პუიტენი; ბერნდ ტალეისი, არნო ბრანკო; ერიკ ბრამარი (ყველა ჰოლანდია)

მსაჯების ინსპექტორი: მილოშ ნაგია (უნგრეთი)

უეფას დელეგატი: ჰაინც ფანლერი (ავსტრია)

ჯარიმა: 6-14; კუთხური: 7-2; კარში დარტყმა: 5-3; კარისკენ დარტყმა: 10-1; თამაშგარე: 0-2

# ქუთაისში მოდაშია რეალი და ფიგუ

**საინტერესოა**, რა ეცვა თერთმეტი წლის ლუიშ ფიგუს იმ დღეს, როცა პორტუგალიური ლისაბონის „სპორტინგი“ ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე იუგოსლავიურ ზაგრების „დინამოს“ მასპინძლობდა. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა საერთოდ ფიგუ იმ დღეს სტადიონზე და თუ იყო, იდგა თუ არა მოედნის კიდეზე ბურთის მიმწოდებელ ბიჭებს შორის.

ისევე ძნელი სათქმელია, როგორც ის, ბერავდა თუ არა გუშინ სალეჭით ბუშტებს ქუთაისში „ტორპედოს“ სტადიონის მეაუტეებს შორის მომავალი ფიგუ.

იოლი დასანახი და აღსანიშნი მხოლოდ ის გახლდათ, რომ „ტორპედო“ — „ლინფილდის“ მატჩისას მოედნის პირას ჩარიგებული ქუთაისელი ბავშვები პორტუგალიის ნაკრების და მადრიდის „რეალის“ ტრუს-მაისურებით შემოსათ. დიდი პორტუგალიელი და რეალელი ფიგუც ამან გაგვახსენა და ეს მცირე რეპლიკაც ამანვე დაგვაწერინა.

შევთანხმდეთ, რომ არც ერთ ფიგუს თუ მისთანას ბავშვობაში ცხვირს არ შეაყოფინებდა ვინმე „ეოზე ალვალადეს“ სტადიონზე, იქ რომ, ვთქვათ, „ბარსელონას“ ან, მთლად უარესი, უცხო ქვეყნის, დავუშვათ, ესპანეთის ნაკრების მაისურით მისულიყო.

ნურც იმაზე ვიკამათებთ, რომ ფიგუობა მხოლოდ ზურგზე ათიანის დაწერით არ მოდის.

ისიც ვთქვათ, რომ წელიწადში ორჯერ 20-მდე ბავშვის ნორმალურად გამოწყობა არ უნდა უჭირდეს კლუბს, რომლის წლიური ბიუჯეტი მილიონებს ეთამაშება.

ცხადია, კარგია, რომ „ტორპედომ“ ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“ გაიარა, მაგრამ ცუდია, რომ ქუთაისელთა მეგოლე მიხეილ აშვეთიას მოედანზე როგორღაც უდროო დროს შევარდნილი ოთარ მამასახლისის სთხოვს მაისურას და იგივეს არც ლამობენ ნორჩი ტორპედოელები.

**ვახტანგ გზირაძე**

## ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. 18 ივლისი

ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 **ლევსკი (ბულგარეთი)** (0:4)
**ვლაზნია (ალბანეთი)** 1:0 რეიკიავიკი (ისლანდია) (1:2)
1:0 კ. დური (62)
კაუნასი (ლიტვა) 1:1 **სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია)** (0:0)
0:1 ნუმიი (52), 1:1 პაპეკისი (65)
**სლავია (მოზირი, ბელარუსი)** 5:0 ვაგური (ფარერები) (0:0)
1:0 ე. იაკობსენი (4ს.კ.), 2:0 სტრიპეიკისი (12), 3:0 რიბაკოვი (24), 4:0, 5:0 სტრიპეიკისი (29პ, 32)
ლევადია (ესტონეთი) 0:0 **ბოჰემიანსი (ირლანდია)** (0:3)
შამქირი (აზერბაიჯანი) 0:1 **ბერი თაუნი (უელსი)** (0:2)
0:1 ლ. ფილიპსი (57)
გაძევება: ბადრი კვარაცხელია (8, შამქირი)
**ჰაკა (ფინეთი)** 5:0 ვალეტა (მალტა) (0:0)
1:0 ტოკელი (4), 2:0, 3:0, 4:0 პ. კოვაჩი (16, 23, 29), 5:0 პოგიოლი (90)
**სკონტო (ლატვია)** 0:1 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (6:1)
0:1 ჩიჩიოლო (77)
**შერიფი (მოლდოვა)** 2:0 არაქსი (სომხეთი) (1:0)
1:0 კომლენოკი (12), 2:0 დუდა (90)
გაძევება: არამ ბკოფიანი (88, არაქსი)

## ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

ტორპედო (ქუთაისი, საქართველო) — კოპენჰაგენი (დანია)
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა)
შახტარი (დონეცკი, უკრაინა) — ლუგანო (შვეიცარია)
ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)
ბოჰემიანსი (დუბლინი, ირლანდია) — ჰალმსტადი (შვედეთი)
ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)
ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — ბრანი (ბერგენი, ნორვეგია)
გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) — ვლაზნია (შკოდერი, ალბანეთი)
პორტუ (პორტუგალია) — ბერი თაუნი (უელსი)
სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — სლოგა (სკოპიე, მაკედონია)
სკონტო (რიგა, ლატვია) — ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი)
სლავია (მოზირი, ბელარუსი) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
მარიბორი (სლოვენია) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)

***პირველი მატჩები 25 ივლისს, საპასუხოები 1 აგვისტოს***

## ავსტრია

II ტური
ტიროლი 5:0 ბრეგენცი
ადმირა ვაკერი 0:1 კერნტენი
ავსტრია 2:3 გრაცერი
რიდი 2:2 რაპიდი

## შვეიცარია

A ჯგუფი
III ტური
გრასჰოპერი 1:1 იანგ ბოიზი
1:0 იპოლიტი (42), 1:1 სერმეტერი (90)
ლოზანა 1:1 ციურიხი
0:1 ჩაველაშვილი (14), 1:1 რ. მაიერი (49)
ლუცერნი 1:2 ლუგანო
0:1 მანინი (4), 1:1 კონტინი (16), 1:2 ბასტიდა (63)
სერვეტი 2:0 ქსამაქსი
1:0 ტური (59), 2:0 ტ. ბამა (76)
სენტ გალენი 3:3 ბაზელი
0:1 ერგიჩი (5), 1:1 ჯეფერსონი (10), 1:2 მ. იაკინი (15), 1:3 კროიცერი (57), 2:3 გაირო (60), 3:3 დალ სანტო (66)
სიონი 0:1 არაუ
0:1 ტარონე (63)

## გერმანია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი
ბაიერნი 0:1 ჰერტა
0:1 პრეეცი (39)
ფინალში 21 ივლისს გელზენკირხენის „შალკე“ და ბერლინის „ჰერტა“ შეხვდებიან

## რუსეთი

XVII ტური
ცსკა 1:1 სპარტაკი
0:1 ბესჩასტნიხი (11), 1:1 რაზჟელოვიჩი (30)
ჩერნომორეცი 2:3 როტორი
0:1 ესიპოვი (36პ), 1:1, 2:1 პრიზეტკო (48, 68), 2:2 ესიპოვი (77), 2:3 პავლიუჩენკო (79)
სოკოლი 1:1 როსტსელმაში
1:0 ვერეტენიკოვი (15), 1:1 კირიჩენკო (88)
ზენიტი 4:0 ტორპედო ზილ
1:0 კერჟაკოვი (39), 2:0 სპივაკი (48), 3:0 გორშკოვი (63პ), 4:0 არშავინი (90)
ლოკომოტივი 1:1 სატურნი
0:1 მოვსესიანი (74), 1:1 მამინოვი (78)
ანჟი 2:2 ფაკელი
1:0 ბუდუნოვი (21), 2:0 სირხაევი (37), 2:1 ალხიმოვი (38), 2:2 საფრონოვი (50)
ალანია 3:3 დინამო
0:1 კლუევი (13), 0:2 ხარლაჩოვი (17), 1:2 ტარლოვსკი (25), 1:3 გუსევი (67), 2:3 პაულუ ემილიუ (84პ), 3:3 ბოციევი (89)
ტორპედო 0:4 კრილია
0:1 ვინოგრადოვი (67), 0:2 კარიაკა (84), 0:3 კოვბა (86), 0:4 ვინოგრადოვი (90)

## ფინეთი

XX ტური
ჯაზი 2:2 ვაასა
კუოპიო 0:4 ჰიკ
ლაჰტი 2:2 ატლანტისი
მიუპა 2:1 ინტერი
როვანიემი 3:1 იოკერიტი



REUTERS

ჟელეზნიჩარი — ლევსკი. ბოსნიელი ბულენდ ბისკევიჩი (წინა პლანზე) და ბულგარელი ბისერ ივანოვი

# დინამო ლუქსემბურგში შემოატრიალეს

**გერმანიაში** შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამო“ გუშინ საღამოს ავტობუსში ჩაჯდა და ლუქსემბურგში „გრევენმახერთან“ სათამაშოდ გაემგზავრა.

პირველ ტაიმში „დინამოს“ აშკარად დაუჯაბნია „გრევენმახერი“. მე-4 წუთზე სახვაძე-კანდელაკის კარგ კომბინაციას გიორგი მიქაძის ზუსტი თავური მოჰყვა. შეხვედრა ჩვენებურთა უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ ბოლო ოც წუთში მასპინძლებმა თამაში შემოაბრუნეს. 82-ე წუთზე თერთმეტმეტრიანით გაათანაბრეს, 90-ზე კი ჩვენი მცველების შეცდომით ისარგებლეს და გამარჯვებისა შეაგდეს 2:1. სტუმართაგან საგოლე მომენტები გააცუდეს სახვაძემ, ბურდულმა, იაგორაშვილი და მიკუჩაძე კი პირისპირ აღმოჩნდნენ მეკარესთან, მაგრამ ვერ ივარგეს. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მამალაძე, სვანაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, სახვაძე (შავგულიძე), ბურდული, მაზიაშვილი (მანწკავა), დარასელია (გაბიდაური), მიქაძე (მიკუჩაძე), ბობოხიძე (იაგორაშვილი).**

**დათო თავრთქილაძე**



REUTERS

ბაიერნი — ჰერტა. ბერლინელთა მეკარე გაბორ კირალიმ ჭოვანი ელბერი და მიუნხენელები შინ წაგებულები გაუშვა

# გიორგი დეკანოსიძე გერმანელებთან ომს იწყებს

## ფიურტის ცენტრში ფეხის დასადგმელი ადგილი არ დარჩა


გიორგი დეკანოსიძე

**ორიოდე** დღის წინ ათდღიანი შეკრება დაასრულა გიორგი დეკანოსიძის „ფიურტმა“. გუნდი გერმანიაში, დაბა გრასაუში ემზადებოდა.

„ფიურტის“ მთავარი მწვრთნელის, ერკენბერხერის განკარგულებაში ამჟამად 27 ფეხბურთელია. წინა სეზონის ბოლოს „ფიურტი“ მხოლოდ ოთხმა მოთამაშემ დატოვა, მათ ნაცვლად კი ცხრა მივიდა. შესაბამისად, თითოეულ პოზიციაზე კონკურენციამ იმატა. ამის შესახებ თავად გიორგიმ გვიამბო გუშინდელი სატელეფონო საუბრისას: „ცხრა ახალწვეულიდან რვა გერმანელია, ერთიც — ბრაზილიელი. ჩემს, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე კონკურენცია აქამდეც დიდი იყო, ახლა კი უფრო გაიზარდა. ახალი ფეხბურთელებიდან ორი ცენტრალური ნახევარმცველია და „ფიურტში“ ამ ამპლუის უკვე ექვსი მოთამაშე ვართ. ასე რომ, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ გუნდში დამკვიდრება ერთობ გამიჭირდება. მაგრამ კონკურენციის არ მეშინია და მწვრთნელიც მაიმედებს, მეუბნება, დღითი დღე უმატებო. ვნახოთ, რა გამოვა, ჩემი უმთავრესი საზრუნავი ფიზიკურად მომძლავრებაა. სხვებს რომ ვაკვირდები, ვატყობ, ჯერაც ბევრი მაქვს სამუშაო“.

გრასაური შეკრების პარალელურად, „ფიურტმა“ 5 საკონტროლო მატჩი გამართა. აქედან სამში დეკანოსიძემ შეუცვლელად ითამაშა, ერთხელაც შეცვლაზე შევიდა მოედანზე. ფიურტელ ჟურნალისტებს თუ ვერწმუნებით, ქართველს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, თავად არ გაუტანია გოლი, მაგრამ მისი პასებით ოთხჯერ პარტნიორებს უხეირიათ.

სავარაუდოდ, დეკანოსიძე დღესაც ითამაშებს. მორიგ საკონტროლო მატჩში „ფიურტს“ ჰაიფას „მაკაბი“ ჰყავს მეტოქედ.

**ბაატა ძვანტალიანი**


ზაზა ზირაქიშვილი (მარჯვნივ) მეცამეტეს ვერ დაიწყებს

# ზირაქიშვილს თაგვი უპოვეს

## მომავალ შეხვედრამდე სექტემბერში

**ცნობილმა** ქირურგმა ვაჟა გაფრინდაშვილმა ოპერაცია გაუკეთა მეთორმეტე ეროვნულის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს — ჯერ კიდევ მარტის ბოლოდან დაეწყო ზაზა ზირაქიშვილს კოჭის ტკივილი და მხოლოდ გუშინ აიყვანეს საოპერაციო მაგიდაზე. ოპერაცია ადგილობრივი ანესთეზიით ჩატარდა, მაგრამ ბოლოს, როცა ნაკერების დადებაზე მიდგა საქმე, ფეხბურთელმა ტკივილს ველარ გაუძლო და ნარკოზით დააძინეს.

ზირაქიშვილს კოჭის სახსარში ხრტილები ჰქონია დაზიანებული. ტკივილს აძლიერებდა ძვლოვანი წამონაზარდებიც ანუ „თაგვი“ — ასე ეძახიან მედიკოსები იმ უცხო სხეულებს, რომლებიც ზაზას კოჭს მოსვენებას არ აძლევდნენ. ექიმებს დიდად გაკვირვებიათ და დინამოელისთვის უკითხავთ, ასეთი ატროფიებით ორი თვე ფეხბურთს როგორ თამაშობდიო.

და მართლაც, კოჭის მდგომარეობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ექიმები ოპერაციამდე ვარაუდობდნენ — მათ მიერ ადრე დათქმული სამი კვირა საკმარისი აღარაა, რომ ზაზა ფეხბურთს დაუბრუნდეს. ვაჟა გაფრინდაშვილის რწმუნებით, ზირაქიშვილი ორი თვის შემდეგ შეძლებს ფეხბურთის თამაშს, მსუბუქ ვარჯიშებს კი დაახლოებით ერთ თვეში შეუდგება.

ასე რომ, თბილისის „დინამო“ თავისი ლიდერისა და მეგოლის გარეშე დაიწყებს ეროვნულ ჩემპიონატს და უეფას თასსაც.

**დავით თავართქილაძე**

# ბათუმი ქორწილში და მოედანზე

## სიძის ძმაკაცებმა სტუმრებს აჯობეს

**სამშაბათს** „ბათუმმა“ მოსამზადებელი ეტაპის ბოლოსწინა მატჩში თურქულ „ხოფასფორს“ უმასპინძლა.

ზღვისპირელებმა დაკომპლექტების პროცესი დაასრულეს და ასლან ბალაძემაც თურქებთან მატჩში ყველა ის ფეხბურთელი გამოცადა, რომელთა მხრებზეც გადაივლის მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი.

„ბათუმმა“ დარჩიძის გოლით 1:0 იმარჯვა. მატჩი თვალსასეირო გამოდგა. შეხვედრა თურქმა მსაჯებმა განსაჯეს და რა გასაკვირია, რომ თვისტომებისადმი სიმპათიები არ დაფარეს, მაგრამ „ბათუმმა“ ორივე ფრონტზე იყოჩაღა, მსაჯთა და მეტოქე ფეხბურთელთა წინააღმდეგობა დაძლია და გაიმარჯვა. გადამწყვეტი გოლი დარჩიძემ თავით შეაგდო 50-ე წუთზე ქაცარავას კუთხურის შემდეგ. საბოლოო სიტყვა კი მატჩის დასასრულს მასპინძელთა მეკარემ და მთავარი მწვრთნელის ვაჟმა ირაკლი ბალაძემ თქვა, როცა თურქი არბიტრის გამოგონილი პენალტი მოიგერია.

„ხოფასფორთან“ მატჩში „ბათუმის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: ***ბალაძე, თურმანიძე, არჩვაძე, მინდაძე, ზ. გვაზავა, ხუჯაძე, ქაცარავა, გ. ჩხაიძე, დარჩიძე, ტულუში, მაჭუტაძე.***

— თამაშით კმაყოფილი ვარ, ბიჭები შეთამაშებულნი იყვნენ და თითქმის ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდნენ მეტოქეს. ეგ არის, ბევრი ხელსაყრელი მომენტი გავანიავეთ, მაგრამ ცოტა ხანში ამ მხრივაც გამოვასწორებთ საქმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდი ფიზიკურად ნორმალურად გამოიყურებოდა. მეტოქემ თითო ტაიმი სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ დაღლა არ დაგვტყობია, ბოლომდე ენერგიულად ვიბრძოლეთ — კმაყოფილება არ დაუფარავს გუშინდელი სატელეფონო საუბრისას „ბათუმის“ თავკაც ასლან ბალაძეს.

თურქებთან მატჩი საპატიო მიზეზით გააცდინეს მეკარე გრიგოლ ჭანტურიამ და თავდამსხმელმა შალვა აფხაზავამ. აფხაზავა დაოჯახდა და ქორწილი ჰქონდა, მეჯვარედ კი თანაგუნდელი მეკარე ჰყავდა მიწვეული. ასლან ბალაძე მათ გამოცდას მოსამზადებელი ეტაპის ბოლო საკონტროლო შეხვედრაში აპირებს. შეგახსენებთ, „ბათუმი“ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთხელაც ითამაშებს ამხანაგურად — 22 ივლისს „დინამოზე“ იმავე „ხოფასფორს“ უმასპინძლებს.


შალვა აფხაზავას (წინა პლანზე) საკონტროლო მატჩისთვის არ ეცალა

**ბაატა ძვანტალიანი**

# ლოკომოტივი ბულგარეთს სკანდალით დაშორდა

**თბილისის** „ლოკომოტივმა“, რომელიც ბულგარეთიდან გუშინ გამოემგზავრა და თბილისში დღეს უნდა ჩამოვიდეს, ერთი საწვრთნელი მატჩიც გამართა ტრიავნას „ვალეკსთან“ და კახა გოგიჩაიშვილის ერთადერთი გოლით გაიმარჯვა. ჩვენებურთ ტრიავნაში, სადაც თითქმის სამ კვირას ემზადებოდნენ, კიდევ ერთი საწვრთნელი მატჩიც უნდა ჩაეტარებინათ, თუმც შედეგი და მეტოქე ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ისე კი თბილისის „ლოკომოტივმა“ ახალი მწვრთნელის, კახა ცხადაძის ხელში წაგება რა არის, არ იცის. რკინიგზელებმა „ვალეკსამდე“ ოთხი მატჩი ჩაატარეს, ოთხივე მოიგეს და 14 გოლი გაიტანეს.

ბოლო მატჩისას კი ერთი სკანდალიც მომხდარა. თამაშის დამთავრებას სამი წუთი რომ აკლდა, მასპინძელი ფეხბურთელი თურმე ერთ-ერთ ჩვენებურს ეუხეშა, წააქცია და სერიოზულადაც დააშავა. მსაჯს ბულგარელი მოედნიდან გაუძევებია. მის ამ გადაწყვეტილებას ადგილობრივი ქომაგები აღუშფოთებია და არბიტრიც იძულებული გამხდარა, მატჩი შეეწყვიტა.

**ლუკა თალაკვაძე**


კახა გოგიჩაიშვილმა ხუთ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა

# ჩვიდმეტწლამდელთა საზაფხულო გაწვევა პალანგაში

**ზედიზედ** მესამე წელია, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები ლიტვის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ პალანგაში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

მართალია, წინა ორი ტურნირი ვერ გამოდგა ჩვენი ნაკრებისთვის მთლად წარმატებული, თუმცა მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მომზადების მიზნით ეს ტურნირი ჭაბუკებს უთუოდ წაადგებათ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჩვენს ნაკრებს ოქტომბერში ელის და მეტოქეებად ისრაელი და ბოსნია ჰყავს.

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დეკემბერში დანიშნულ კობა ჟორჟიკაშვილს ნაკრები მეორედ მიჰყავს საზღვარგარეთ. ადრე ისინი გერმანიაში იყვნენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად.

პალანგას ტურნირში სულ ხუთი ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: ლიტვა, ლატვია, მოლდოვა, რუსეთი და საქართველო. მეტოქეები წრიული სისტემით ითამაშებენ.

მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილის თქმით, ნაკრები პალანგაში 9 აგვისტოს გაემგზავრება, სამშობლოში კი 21 აგვისტოს დაბრუნდება.

**ბაჩა შალამბერიძე**



კობა ჟორჟიკაშვილი

# ლაგოდეხიდან ზღვისკენ თბილისის გავლით

**ათდღიანი** ლაგოდეხური შეკრება დაასრულა თბილისურმა „მერანმა". ოთარ გაბელიას გუნდმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა გუშინ „ლოკომოტივი 3"-თან ჩაატარა და 4:0 მოიგო. ღუბლი მიითვალა ბოლქვაძემ, თითო გოლი კი მუშკუდიანისა და კრავეიშვილის ანგარიშზეა.

„მერანი" გუშინვე გამოემგზავრა თბილისისკენ, დღეს კი მორიგ საკონტროლო მატჩში თბილისურ თსუ-ს დაუპირისპირდება. თამაში ავლაბრის სტადიონზე 6 საათზე დაიწყება.

მეცამეტე ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ავჭალელები ყვავილნარს ესტუმრებიან და წინასასეზონო სამზადისს იქვე დაასრულებენ. ყვავილნარიდანვე ეწვევა „მერანი" ლანჩხუთს, სადაც ჩემპიონატის პირველ ტურში მეტოქედ „გურია" ელის.

**დათო დანელია**

# მსაჯებმა ზეპირად იციან მალაღურაძეს რჩიანი მოუხაზეს

**გუშინ** ქართველმა მსაჯებმა საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო ეტაპიც გაიარეს — თეორიაში გამოცდები ჩააბარეს. ამოცანას თავი ყველამ წარმატებით გაართვა. დღეს კი არბიტრები ლიცენზიებს მიიღებენ, რითაც მომავალი ჩემპიონატის მატჩებზე მომსახურების უფლება ოფიციალურად დაუმტკიცდებათ.

მათ შორისაა მერაბ მალაღურაძეც. შეგახსენებთ, რომ მან 16 ივნისს ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი იმსაჯა ირლანდიაში, იქაურ „კორკ სიტისა" და ლატვიურ „მეტალურგს" შორის.

ეს შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა — 1:0. თუმც სამშობლოში დაბრუნებულმა „მეტალურგსის" მთავარმა მწვრთნელმა მალაღურაძის მსაჯობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და ქართველი არბიტრი გვარიანად გააკრიტიკა.

გუშინ კი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტიდან შეგვატყობინეს, რომ უეფამ ზემოთ აღნიშნულ მატჩში მერაბ მალაღურაძის მსაჯობა დადებითად შეაფასა და 8 ქულაც დაუწერა.

**ბაჩა შალამბერიძე**



მერაბ მალაღურაძე

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** რევაზ ძოძუაშვილი | ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია, ზოიძე (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ჭელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (შერიფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შევარდენი, ქუთაისი) | სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1, სიონი 5:1, ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:0, 1:0 |
| **ლოკომოტივი** კახა ცხადაძე | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ვალეკსი (ტრიავნა, ბულგარეთი) 1:0 (თამაში ჩაიშალა) |
| **დინამო** გივი ნოდია | ი. შენგელია (მერანი), ხაჩირაშვილი (გორდა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | ფრაიბურგი (გერმანია) 0:1, მატლახი (გერმანია) 4:1 |
| **ვიტ ჯორჯია** ჯანი კარნევალი | | ლ. კვარაცხელია, ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** სოსო ფილია | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (გურია), ღლანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0, დობრუჯა (ბულგარეთი) 1:0, ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:2, სოლნიჩნი ბრიაგი (ბულგარეთი) 1:2 (თამაში ჩაიშალა), ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:3 |
| **მერანი** ოთარ გაბელია | დევაძე (პოლიგრაფტეხნიკა, ოლექსანდრია, უკრაინა), დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (ბათუმი), გ. კვეტენაძე (იესილი, კოქჩეტავი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, დევიძე, თოლორდავა, ივანიშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, გ. ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ჯ. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (ეტარი,ველიკო ტარნოვო, ბულგარეთი) | თსუ 3:2, ჭაბუკიანი 3:2, ლოკომოტივი-3 4:0 |
| **ბათუმი** ასლან ბალაძე | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე, მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ყულევჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (მერანი), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ტორპედო), ჭითანავა (ბათუმი 2) | კოლხეთი 1:2, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0, გურია 1:1, 1:0, ხოფასფორი (თურქეთი) 1:0 |
| **სიონი** ფირუზ რეხვიაშვილი | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), სოლოღაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი (დილა), დაუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი); ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ნორჩი დინამოელი 2:0, ტორპედო 1:5 |
| **გორდა** იასონ ალადაშვილი | სოხაძე (თსუ); თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუნავა (თამაში მიატოვა); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დისკვალიფიცირებულია), ხაჩირაშვილი (დინამო); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0, ზოოვეტი 5:2 |
| **გურია** ზაზა გურიელიძე | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი), ხუჭუა (კოლხეთი), ებრალიძე (თსუ), გენაძე, კაციაშვილი (მეტალურგი) | ტორპედო 0:5, ბათუმი 1:1, 0:1 |
| **მეტალურგი** ვასილ ჭეიშვილი | გენაძე, კაციაშვილი (გურია), აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?) | ჯ. თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია) | ტორპედო 1:6, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2, 1:0 |
| **სამგურალი** გია გიგატაძე | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, ბათუმი 0:3, მეტალურგი 2:1, 0:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

40º Copa América
**Colombia 2001**
11 al 29 de julio



კოლუმბია — ჩილე. სამ კოლუმბიელთან მეკარე სერხიო ვარგასი, აბა, რას გახდებოდა

REUTERS

# კოპას არმენიაც ნახავს

## კოლუმბია და ჩილე სხვებს ელიან

**A ჯგუფი. III ტური**

**ეკვადორი 4:0 ვენესუელა**

1:0 ა. დელგადო (19), 2:0 ა. ფერნანდესი (29), 3:0 მენდესი (60), 4:0 ა. დელგადო (63)

**კოლუმბია 2:0 ჩილე**

1:0 არისტისაბალი (103), 2:0 არიაგა (90)

**ქალაქ** ბარანკილიაში კოპა ამერიკა დამთავრდა. A ჯგუფის თამაშები მშვიდობიანად გასრულდა და ორი მეოთხედფინალისტის ვინაობაც გაირკვა. პირველ ადგილზე გასული მასპინძელი კოლუმბიელები არმენიაში ჯგუფებში ერთ-ერთ საუკეთესო მესამეადგილოსანს დაუპირისპირდებიან, ხოლო ჩილელები B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეეცილებიან ნახევარფინალის საგზურს.

ბოლო ტურში კოლუმბიელებს და ჩილელებს ერთმანეთში ბევრი არაფერი ჰქონდათ გასარკვევი. ორივე გუნდს მეოთხედფინალი აქამდეც განაღდებული ჰქონდა, თუმც თამაში მაინც მაღალ ტემპში წარიმართა და დაძაბულიც გამოდგა. მსაჯს ხშირად უხდებოდა ფეხბურთელთა დაშოშმინება. უხეშობისთვის და შემდეგ ერთმანეთზე გაწევის გამო არბიტრმა კოლუმბიელი მურილიო და ჩილელი გალდამესი გააძევა.

ამ მატჩში „დეპორტივო კალის" თავდამსხმელმა, ვიქტორ არისტისაბალმა ანგარიში თერთმეტმეტრიანით გახსნა, ტურნირზე მესამე გოლი მიითვალა და ჩილელ მონტესინიოსთან ერთად ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანია ტურნირზე.

არისტისაბალის გოლს მატჩის მიწურულს ემელიანო არიაგამ მეორეც მიუმატა და კოლუმბიელებმაც საუკეთესო შედეგით, სამიდან სამი მოგებით დაასრულეს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი.

ეკვადორელებმა კი ვენესუელის ნაკრები გაანადგურეს. ერნან დარიო გომესის გუნდმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში ჩინებულად თამაშობს და კორეა-იაპონიაში წასვლის რეალური შანსი აქვს, ბოლოს და ბოლოს გაახარა გულშემატკივარი. თამაში მთლიანად ეკვადორელთა კარნახით წარიმართა. პირველი ნახევრის დასაწყისში აქამდე ეკვადორელთა ერთადერთი გოლის ავტორის, კლებერ კალას პასი მექსიკურ „ნეკაქსაში" მობურთალმა დელგადომ თავურით გოლად აქცია. ანხელ ფერნანდესმა მეორე მალევე დაუნაცვლა, მან დელგადოს შესანიშნავი გადაცემა გამოიყენა.

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა. ეკვადორელები უტევდნენ, ვენესუელის ნაკრები კი არავინ უწყის, რა ტაქტიკით თამაშობდა. საბოლოოდ მათ მეკარეს კიდევ ორჯერ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა. ედისონ მენდესის ახლო მანძილიდან და დელგადოს მარცხენა ფეხით უძლიერეს დარტყმებს მეკარე დუდამელმა ვერაფერი დაუპირისპირა.

ეკვადორის ნაკრებს სამი ქულა დაუგროვდა. დიდი ანგარიშით გამარჯვებამ მათ გატანილ-მიღებული ბურთების ბალანსიც გაუუმჯობესა. ახლა გავა თუ არა გომესის გუნდი მეოთხედფინალში, B და C ჯგუფების ბოლო თამაშების შედეგები გვიჩვენებს. თუ ბედმა გაუღიმა, შესაძლოა, ეკვადორი სამ მესამეადგილოსანს შორის ორი საუკეთესო გუნდისთვის კუთვნილ მეოთხედფინალის საგზურს დაეპატრონოს.

**გიორგი გაგარდაშვილი**



ეკვადორი — ვენესუელა. ვენესუელელი ელვის მარტინესი მშრალზე დასვეს

REUTERS

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ჩილე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

კოლუმბია და ჩილე გავიდნენ მეოთხედფინალში

# ჩვენს უკან ძალა და ისტორიაა

## ფრანც ბეკენბაუერი: ბაიერნი ჩემპიონთა ჩემპიონი უნდა იყოს!

**39-Ე ბუნდესლიგის** დაწყებამდე ორიოდ კვირა დარჩა, მიუნხენის „ბაიერნი" კი უკვე თითქმის ჩემპიონად გამოაცხადეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ბუნდესლიგის მწვრთნელთა უმეტესობის აზრი. 18 მწვრთნელიდან 14-მა უმთავრეს ფავორიტად მიუნხენელები დაასახელა, ოთხმა კი პროგნოზისგან თავი შეიკავა. ამ ტრადიციული სეზონისწინა გამოკითხვის შედეგები უფრო შთამბეჭდავი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ შარშან ბუნდესლიგის ოქროს მაძიებელ პრეტენდენტთა შორის ერთბაშად შვიდი გუნდი მოიხსენიებოდა.

ახალი სეზონის დაწყებამდე "ბაიერნის„ ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც მრავალ საინტერესო კითხვას უპასუხეს.

ოტმარ ჰიცფელდის განკარგულებაში ამჟამად უმაღლესი კლასის 25 ფეხბურთელია. კითხვაზე, თუ როგორ აპირებს ექვსი თავდამსხმელის — ელბერის, პიზაროს, იანკერის, სერჟიოს, სანტა კრუზის და ციკლერის გამოყენებას, ან ბევრი ხომ არაა ამდენი ფორვარდი ერთ გუნდში, ჰიცფელდმა უპასუხა: „გეთანხმებით, ვფიქრობ, ჩვენი წინა ხაზი კიდევ უფრო გაძლიერდა. საერთოდ კი იმედი მაქვს, რომ ახალი ფეხბურთელები ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად გაჩაღებულ კონკურენციას გაამწვავებენ. თითოეული ახალწვეული მუდმივად თავისი მაღალი კლასის დამტკიცებას უნდა ცდილობდეს, თუ სურს, რომ ჯერ თექვსმეტ, შემდეგ კი ძირითადის თერთმეტ ფეხბურთელს შორის დამკვიდრდეს. ის მოთამაშეები კი, რომლებიც ამათ შორის ვერ მოხვდებიან, ტრიბუნებზე გადაინაცვლებენ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ისინი სულ ცოტა, სათადარიგოთა სკამზე ყოფნას მაინც იმსახურებენ. ასე რომ, გუნდში სიმშვიდის შესანარჩუნებლად რაღაც სიძნელეების გადალახვა კიდევ მომიწევს. ჩვენ 25 ძლიერი ფეხბურთელი გვჭირდება, რადგან ექვს სხვადასხვა ტურნირში უნდა ვითამაშოთ. რასაკვირველია, ყველა ამ ტურნირის მოგებას არ ვგეგმავთ, სეზონის მსვლელობისას გუნდის შესაძლებლობებს შევაფასებთ, თუმცა წინასწარ იმის თქმა, რომლის მოგებას ვაპირებთ და რომლის — არა, უაზრობად მეჩვენება".

ჰიცფელდმა მომავალი ჩემპიონატის ფავორიტებიც დაასახელა: „ვფიქრობ, შარშანდელის მსგავსად, „შალკე" ამჯერადაც ლიდერებს შორის იქნება. ჰუუბ სტევენსი შესანიშნავი სპეციალისტია და ჩემი აზრით, „შალკე" ისევ ოქროსთვის იბრძოლებს. იგივეს ვიტყოდი დორტმუნდის „ბორუსიაზე", ბერლინის „ჰერტასა" და ლევერკუზენის „ბაიერზე". არც იმას გამოვრიცხავ, რომ სიურპრიზი რომელიმე სხვა გუნდმაც შემოგვთავაზოს."

საინტერესოა, რას ფიქრობს კლუბის მომავალზე გერმანული ფეხბურთის ლეგენდა და „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლჰაინც რუმენიგე: ბოლო ათი წლის განმავლობაში, რაც ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმულა არსებობს, ორჯერ ზედიზედ თასი არავის მოუგია. ასე რომ, ლიგაში გამარჯვება ყველაზე მთავარ ამოცანად მიმაჩნია. თუ უფრო რეალურად ვიმსჯელებთ, ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. მეოთხედფინალიდან კი, როცა საქმე გავარდნაზე მივა და იღბალიც საჭიროა, კონკრეტულ მომენტში გუნდის ბრძოლისუნარიანობა გადამწყვეტი ხდება. ამის წინასწარ დაგეგმვა კი შეუძლებელია. მთავარია, ბევრი ტრავმირებული არ გვყავდეს. მეოთხედფინალამდე აუცილებლად უნდა მივაღწიოთ. იქ კი შეიძლება სასიამოვნო ან არასასიამოვნო მოულოდნელობა შეგვხვდეს. ბუნდესლიგაში კი ბრძოლა უფრო თანაბარი იქნება. შარშან ჰიცფელდი და მისი გუნდი მუდმივად დაძაბულნი იყვნენ, ჩვენი უშუალო კონკურენტები საერთაშორისო ტურნირებში აღარ მონაწილეობენ. ამჯერად დორტმუნდელებსა და გელზენკირხენელებს თავიანთი სიძლიერის დამტკიცება თანაბარ პირობებში მოუწევთ".

პრესკონფერენცია ისე როგორ ჩაივლიდა, თავისი სიტყვა არ ეთქვა ული ჰიონესს: „ამჟამად „ბაიერნის" გარშემო ეიფორია სუფევს. ოფისს ფანების ახალი ტალღა მოაწყდა, ისინი გულშემატკივართა კლუბში მიღებას ითხოვენ. წინასწარი მონაცემებით, წლეულს კლუბის წევრთა რაოდენობა 90 ათასს მიაღწევს. ჩემპიონთა ლიგის მოგებულმა ფინალმა და გერმანიის ჩემპიონობამ გუნდის პოპულარობა ერთიორად გაზარდა. გვსურს, ეს სულისკვეთება სტადიონზე გადავიტანოთ, როგორც ფრანც ბეკენბაუერმა ბრძანა, იმედი კარგი თამაშით უნდა გავამართლოთ. ჩვენი მიზანია, გულშემატკივრები ვასიამოვნოთ. მაშინ წარმატებაც აღარ დააყოვნებს. მე ვნახე, როგორ ელაპარაკებოდა ჰიცფელდი ფეხბურთელებს გასახდელში და განცვიფრებული დავრჩი, თუ რაოდენ ძლიერი შემადგენლობა გვყავს. გულწრფელად გეტყვით, გასული სეზონის დასრულებისთანავე თავს გამოფიტულად ვგრძნობდი, მაგრამ ახლა მოუთმენლად ველი 27 ივლისს!" — ლაღად დაასრულა ული ჰიონესმა.

**გაგა ხუციშვილი**



მიუნხენელები ახალ სეზონს ჩინებული განწყობით ხვდებიან



გაისკა მენდიეტას (ბურთით) მაინც შეელივნენ

# რეალმა გაისკა ვერ გარისკა

## ვალენსიამ ლაციოს მენდიეტა დაუკლო

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ მენდიეტა ჩვენთან აღარ გადმოვა" — დაადასტურა მადრიდელთა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა არგენტინელმა ვარსკვლავმა ხორხე ვალდანომ, რომელმაც აღიარა, რომ ესპანეთის ჩემპიონს ბასკი ვარსკვლავის გამოსასყიდი 51,17 მილიონი დოლარი არ აქვს.

ასე რომ, „ვალენსიას" 27 წლის კაპიტნის მყიდველად „ლაციო" რჩება და გავრცელდა კიდეც ინფორმაცია, რომაელებმა ეს საქმე უკვე მოაგვარესო. ვალენსიელთა ახალმა პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ განაცხადა, რომ ორმა კლუბმა უკვე მოილაპარაკა, მაგრამ თავად ფეხბურთელს ჯერ ოფიციალური თანხმობა არ განუცხადებია. ამბობენ, რომ რომაელები მენდიეტას სანაცვლოდ 38,37 მილიონ დოლარს გადაიხდიან.

როგორც ხედავთ, 51,17 მილიონსა და 38,37 მილიონს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ რამ წარმოშვა ეს განსხვავება, გასაგებია: „ვალენსიას" „რეალისთვის" თანხის დაკლება არ სურდა, ვინაიდან არ სურდა ესპანეთის ჩემპიონატში მის კონკურენტს მორიგი ვარსკვლავი ჩავარდნოდა ხელთ. თუ მაინც ჩაიგდებდა, მაშინ ამაში ძალიან დიდი თანხა უნდა გადაეხადა. ხოლო „ლაციო" ვალენსიელთა კონკურენტი არ არის და მასთან უფრო ზომიერ თანხებზეც შეიძლებოდა ლაპარაკი.

აქ, არის კიდევ ერთი საკითხი. ამბობენ, რომ თავად მენდიეტას იტალიაში წასვლას ესპანეთში დარჩენა ურჩევნია და ამიტომაც არ უთქვამს რომში გადაბარგებაზე თანხმობა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ვალენსიიდან" წასვლის უფლების სანაცვლოდ, მასაც მოუწევს რაღაცის დათმობა.

„ბედნიერი ვარ, რომ „რეალმა" მენდიეტას თავი დაანება" — ამბობს ხაიმე ორტი — „ამით ფეხბურთელს სხვა გუნდში გადასასვლელად გზა გაეხსნა".

ამასობაში, „ვალენსიას" ახალმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა მენდიეტას მათთან დარჩენის შესაძლებლობაზეც ჩამოაგდო სიტყვა:

„თუ ის დარჩება, მთელი ამ სატრანსფერო აურზაურის დავიწყება და ძველებურად მუშაობა მოუწევს. მართალია მომხდარს თავისი კუდები დარჩება, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ის მთელი ძალით თამაშს შეძლებს."

**ბაბუნა ძიდია**

# რომაელი ვარ, რომაში ვრჩები!

## ვინჩენცო მონტელას სკუდეტო გაუტკბა

**„რომას"** თავდამსხმელს და წინა სეზონის გმირ ვინჩენცო მონტელას, მართალია მწვრთნელთან, ფაბიო კაპელოსთან კონფლიქტი მოუვიდა, მაგრამ განაცხადა, რომ იტალიის ჩემპიონის მაისურას არ გაცვლის სხვა გუნდისაზე და სულ მცირე კიდევ ერთ სეზონს გუნდში გაატარებს.

„გულშემატკივართა უმრავლესობა ფიქრობს, რომ „რომაში" დარჩენა კლუბის პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ მაიძულა, მაგრამ, მერწმუნეთ, თუ ფეხბურთელს წასვლა სურს, ვერავინ აიძულებს საპირისპიროს. ასე რომ, „რომაში" დარჩენა ჩემი სურვილი იყო, ხოლო ეს სურვილი იმიტომ აღმეძრა, რომ ვატყობ, ახლა უფრო გრძნობენ ჩემს საჭიროებას. განსაკუთრებით დიდ მხარდაჭერას ქომაგებისგან ვგრძნობ. ვხედავ, რომაელებს ნამდვილად ვუყვარვარ" — განაცხადა მონტელამ.

შემდეგ ფორვარდმა ფეხბურთელთა მზარდი ხელფასების შესახებაც ილაპარაკა. ეს ის საკითხია, რომელიც ბევრი გუნდის პრეზიდენტს აფიქრებს და ათქმევინებს, რომ თუკი ფეხბურთს რაიმე ავნებს, სწორედ ასეთი კომერციალიზაცია.

„ჩემი აზრით, დიდი ხელფასების მიღება სკანდალის საფუძველს არ იძლევა" — თქვა მონტელამ — „როდესაც კლუბს ერთი მოთამაშის გაყიდვა 100 მილიარდ ლირაზე მეტს აძლევს, ვფიქრობ ხელფასებიც შესაბამისი უნდა იყოს".

შემდეგ სიტყვა ჩემპიონის მომავალ კონკურენტებზე ჩამოვარდა:

„დღეს ბევრი კლუბი ჩვენზე გაცილებით სერიოზულად მუშაობს სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მათ ეს გაწამაწია იმიტომ სჭირდებათ, რომ ჩვენს დონეზე ამოვიდნენ. „იუვენტუსმა" კი სამი მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა, ოღონდ ზიდანი დაკარგა. ძლიერ ფეხბურთელებს ყიდულობს „მილანიც". „ინტერი", როგორც ჩანს, რონალდოს და ვიერის წყვილით შეუტევს, „ლაციო" კი, მართალია, ერთი შეხედვით სუსტდება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაცდინოს, ბაზარი ჯერ ხომ არ დახურულა. ერთი სიტყვით, მეტოქეები ძლიერდებიან, მაგრამ თუ ჩვენ გასული სეზონის ნებისყოფა და დაჟინება შევინარჩუნეთ, ყველაზე ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებით" — უპასუხა თავდამსხმელმა.

**ბაბუნა ძიდია**





ვინჩენცო მონტელა რომ „რომაში" დარჩენა-არდარჩენაზე ზრუნავდა, მისი ცოლი რიტა რომაულ პოდიუმზე მიმოირწეოდა

# ყველაფერი ან არაფერი

## მილანი სეზონს მუქარით იწყებს



ახალი მილანელები და ძველი კაპიტანი: ფილიპო ინძაგი, ანდრეა პირლო, მანუელ რუი კოშტა, ფათიჰ თერიმი და პაოლო მალდინი

**იტალიაში** ახალი საფეხბურთო სეზონი 26 აგვისტოს დაიწყება. სერია A-ს გუნდები კი გაცხოველებულ სატრანსფერო ომში არიან ჩაბმულნი. არიან ისეთებიც, რომლებიც ვარჯიშს უკვე შეუდგნენ. მოახლოებული სეზონისთვის მზადება კახა კალაძის „მილანმაც" დაიწყო. 16 ივლისს „გალა ოტელში" „მილანი" 2001/2002-ის პრეზენტაცია მოეწყო, დუკა დაოსტას მოედანზე კი საყვარელ კერპთა მომლოდინე ტიფოზები და მრავალრიცხოვან ჟურნალისტთა ამქარი შეკრებილიყო.

გუშინწინ კი ფათიჰ თერიმმა მილანელოში პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. გულშემატკივართა და ჟურნალისტთა ინტერესის საგანს ძირითადად გუნდის ახალწვეულები — რუი კოშტა, ინძაგი, კონტრა, ხავი მორენო, თერიმი და სხვები წარმოადგენდნენ.

დუკა დაოსტას მოედანზე ტიფოზებს პირველად „მილანის" უბერებელი კაპიტანი პაოლო მალდინი მიესალმა: „ჩვენი მიზანი სკუდეტოა, რუი კოშტა და ფილიპო ინძაგი „მილანს" აუცილებლად გააძლიერებენ". ოპონენტებმა კი მიუთითეს, სკუდეტოს როგორ მოიგებთ, როცა „მილანს" დაცვა არ ჰყავსო. კაპიტანს ამაზეც მზად ჰქონდა პასუხი: „რატომ, ჩვენ გვყავს კალაძე, კონტრა, ჰელვეგი. მე და კოსტაკურტა თამაშს ჯერ კიდევ შევძლებთ. ახლა გადახედეთ ჩვენს ნახევარდაცვასა და თავდასხმას, ვფიქრობ სკუდეტოს მოგება ნამდვილად შეგვიძლია".

ძალიან დიდი ინტერესით ელიან ახალ კლუბში რუი კოშტას გამოჩენას. ყველას ის აფიქრებს, როგორ მოერგება იგი „მილანს". კაპიტნის შემდეგ მომღიმარმა პორტუგალიელმა თქვა: „ემოციური ზაფხული გახლდათ. მეამაყება, რომ ჩემი გავიტანე, ანუ თავად ავირჩიე გუნდი, სადაც სიამოვნებით ვითამაშებ. კმაყოფილი ვარ არჩევანით."

შავ-წითელთა ქომაგნი თავდასხმაში დიდ იმედებს ამყარებენ შევჩენკოინძაგის დუეტზე. პიპომ ჯერ გაიხუმრა: „ჩვენ გავერთობით და მერე როგორ — სერიოზულად კი დასძინა — „იუვენტუსის" შემდეგ მე ყოველთვის ისეთ გუნდს ავირჩევდი, როგორიც „მილანია". ახლა, ჩემი ახალი გუნდისთვის გავიტან. მგონი, არ დამვიწყებია ხელობა."

ცხადია, აზრს იმპერატორად წოდებულ ფათიჰ თერიმსაც დაეკითხნენ: „ეს გუნდი ყველაზე ძლიერია იმათგან, ვისთანაც აქამდე მიმუშავია („გალათასარაი", „ფიორენტინა") პირველს, რასაც გასახდელში ფეხბურთელებს ვეტყვი, ეს იქნება — მოვიგოთ ერთად". თერიმს, მალდინის არ იყოს, ოპონენტები აქაც გამოუჩნდნენ. თქვენ იცით, რომ წაფორხილების შემთხვევაში კარლო ანჩელოტი ყოველთვის მზად იქნება თქვენს შესაცვლელად? თურქი არ დაიბნა და საკმაოდ თავდაჯერებულად უპასუხა: „დარწმუნებული ვარ, ჩემთან კონტრაქტს გააგრძელებენ".

ისე როგორ იქნებოდა, „მილანის" ვიცე პრეზიდენტ ადრიანო გალიანისაც არ ეთქვა სიტყვა: „ჩვენ ყველა ის ტურნირი უნდა მოვიგოთ, სადაც მონაწილეობას მივიღებთ. სკუდეტო, იტალიის და უეფას თასები. კარგა ხანია, „მილანი" ასე ძლიერი არ ყოფილა. ვფიქრობ, რომ ნაყოფიერი სატრანსფერო პოლიტიკა განვახორციელეთ, ყველა რგოლში გავძლიერდით".

იტალიაში კი „მილანს" უკვე ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ, თუმც არც საკმაოდ მოძლიერებული „იუვენტუსი" და „ინტერი" ავიწყდებათ. სკუდეტოსთვის როგორც ბოლო დროს კვლავაც ექვსი გუნდი იბრძოლებსო — „მილანი", „იუვენტუსი", „ინტერი", „ლაციო", „რომა" და „პარმა"— ამბობენ აპენინებზე.

ქვემოთ „მილანის" შემადგენლობას და იმ ამხანაგური მატჩების ნუსხას გაეცანით, იტალიური კლუბი 26 აგვისტომდე, სერია A-ს დაწყებამდე რომ გამართავს.

*მეკარეები: კრისტიან აბიატი, სებასტიანო როსი, გაბრიელე ალდეგანი, ვალერიო ფიორი, ნელსონ დიდა;*

*მცველები: კოზმინ კონტრა, პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა, კახა კალაძე, თომას ჰელვეგი, ხოსე ანტონიო შამოტი, ჟოზე ვიტორ როკე ჟუნიორი, ფაბრიციო კოლოჩინი, სირილ დომორო, დანიელე დაინო;*

*ნახევარმცველები: დემეტრიო ალბერტინი, ჯენარო გატუზო, მანუელ რუი კოშტა, ფერნანდო რედონდო, მასიმო დონატი, მასიმო ამბროზინი, ნიკოლა კორენტი, კლაუდიო სერჟინიო, ფრანჩესკო კოკო, ანდრეს გულიელმინპიეტრო, ანდრეა პირლო, დრაჟენ ბრნჩიჩი;*

*თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი, ხავი მორენო, ოლივერ ბირჰოფი, ხოსე მარი რომერო, ალიუ მოჰამედი.*

21 ივლისი. ვარეზე: *„ვარეზე" — „მილანი"*. 26-28 ივლისი, ამსტერდამის ოთხთა ტურნირი: *„აიაქსი" — „მილანი", „მილანი" — „ვალენსია"*. 4 აგვისტო. სტამბოლი: *„ბეშიქთაში" — „მილანი"*, 9 აგვისტო. ტრიესტის სამთა მინი-ტურნირი: *„მილანი"-„იუვენტუსი"-„ინტერი"*. 18 აგვისტო. ლუიჯი ბერლუსკონის თასი: *„მილანი" — „იუვენტუსი"*.

**გიორგი ვაჩაძიძე**



ფილიპო ინძაგი და ანდრეი შევჩენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგულმა** „მარსელმა“ სურვილი გამოთქვა, „მილანის“ არგენტინელი მცველი ხოსე ანტონიო შამოტი შეიმატოს. შეგახსენებთ, რომ ფრანგებმა მილანელებისგან უკვე ინათხოვრეს იბრაჰიმბა და ოლივერ ბირჰოფთანაც აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ხოსე ანტონიო შამოტს იტალიურ კლუბებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. „მილანის“ გარდა იგი „პიზასა“ და „ლაციოს“ ღირსებას იცავდა. რომაულ კლუბში მან ოთხი სეზონი გაატარა, შემდეგ კი მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა. „მილანმა“ არგენტინელი სწორედ ესპანური კლუბიდან გადაიბირა დაახლოებით წლინახევრის წინ.

**ესპანელ თავდამსხმელ დანი გარსიასთან „ასტონ ვილა“ აწარმოებს მოლაპარაკებებს, „ბარსელონას“ კი სანაცვლოდ 7,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს, რაზეც კატალონიური კლუბი, ალბათ, დათანხმდება. დანი „ბარსელონაში“ 1999 წელს „მალიორკადან“ ჩაირიცხა, თუმცა წინა სეზონი უფრო მეტად სათადარიგოთა სკამზე გაატარა და უკვე კარგა ხანია, „კამპ ნოუს“ დატოვებას აპირებს. ესპანელს რამდენიმე სხვა კლუბიც ეპატიჟება, მაგრამ იგი, სავარაუდოდ, „ასტონ ვილას“ აირჩევს. ტრანსფერი ამ უქმეებზე განხორციელდება.**

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ „ლიდს იუნაიტედს“ ავსტრალიელი ფორვარდის მარკ ვიდუკას სანაცვლოდ 25 მილიონი დოლარი შესთავაზა. ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ კლუბთან კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. მის შეძენას „ინტერიც“ ცდილობდა, მაგრამ „ლიდსმა“ მილანელები უარით გაისტუმრა. იტალიური სააგენტოების ცნობით, „იუვენტუსი“ ერთდროულად კიდევ რამდენიმე მოთამაშესთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ისინი თავდამსხმელები არიან — ვალენსიელი იონ კარეუ, მადრიდის ატლეტიკოელი სალვა ბალესტა და ფლამენგოელი ადრიანო. ამ უკანასკნელში ტურინელები 15 მილიონ დოლარს იხდიან.

**არგენტინულმა „რივერ პლეიტმა“ მადრიდის „რეალიდან“ ერთი სეზონით ესტებან კამბიასო ინათხოვრა. 20 წლის მცველს, რომელსაც რობერტო კარლოსის მომავალ შემცვლელად მიიჩნევენ, აქამდე „სამეფო კლუბში“ ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში იგი არგენტინულ „ინდეპენდიენტეში“ იჯარით თამაშობდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი ამ დღეებში ბუენოს აირესში ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „რივერთან“ ერთად ახალი სეზონისთვის დაიწყებს მზადებას.**

**ფრანგულმა** „ნანსიმ“ „ბორდოსგან“ ერთი სეზონით მცველი მეტიუ მედა ინათხოვრა. „ნანსიმ“ ახლახან მცველი უადუ „ფულემში“ გაუშვა და მას შემდეგ შემცვლელს ეძებდა. 20 წლის მედა „კანის“ აღზრდილია. „ბორდომ“ იგი ცოტა ხნის წინ შეიძინა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „ნანსის“ მწვრთნელის განცხადებით, იგი უნივერსალური მოთამაშეა — დაცვის ცენტრში, მარჯვენა ფლანგზე და ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში.

**რუმინელი ნახევარმცველი კონსტანტინ გალკა თავისუფალი აგენტის სტატუსით „ესპანიოლიდან“ „ვილიარეალში“ გადაბარგდა. ფეხბურთელი კატალონიურ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივების სანაცვლოდ ხელფასის გაზრდას ითხოვდა, რაც არ შეუსრულეს და მანაც „ვილიარეალთან“ გააფორმა სამწლიანი შეთანხმება. „ესპანიოლმა“ კი მექსიკელი თავდამსხმელი ხუან ფრანსისკო პალენსია მიიწვია. „კრუს ასულის“ მოთამაშე ესპანეთში ერთწლიანი იჯარით გადავიდა. აღსანიშნავია, რომ 28 წლის პალენსია ბოლო ორი სეზონია, მექსიკის ნაკრებში რეგულარულად ხვდება.**

**კანადელმა** თავდამსხმელმა ტომაშ რაძინსკიმ ბრიუსელის „ანდერლეხტი“ დატოვა და ლივერპულის „ევერტონში“ გადაბარგდა, ბრიუსელურმა კლუბმა კი რაძინსკის სანაცვლოდ 4.5 მილიონი გირვანქა მიიღო. რაძინსკიმ წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ძლიერი თამაშით არაერთი კლუბის ყურადღება მიიპყრო. საბოლოოდ მისი გადაბირება ლივერპულელებმა შეძლეს. მათი მწვრთნელის უოლტერ სმიტის განცხადებით, კანადელი ყველაზე უკეთ შეცვლის ფრენსის ჯეფერსს, რომელიც ცოტა ხნის წინ ლონდონის „არსენალში“ 10 მილიონ გირვანქად გაყიდეს. რაძინსკიმ „ევერტონთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



# საზამთრო რაღა შუაშია?
## მე წითელი მოვკვდე, დავიმარხო...

**დახეთ**, რა გახარებულნი არიან ტაილანდელი გოგოშკები — მათ დედაქალაქს ხომ თვით „ლივერპული“ ესტუმრა. აეროპორტიდან მოყოლებული, ოუენსა და მის ძმაბიჭებს გასაქანს არ აძლევს გინდ ქალი და გინდ კაცი. დღესაც, როცა უეფას თასის მფლობელი მასპინძელთა ნაკრებს შეხვდება, ბანგკოკელთა უმრავლესობა სწორედ სტუმრებს დაუჭერს მხარს.

ბილეთი? სადღაა ბილეთი! მთელი სტადიონი გაივსება, თუმცა მაყურებელთა შორის არ იქნება 28 წლის საკჩაი სიტხიჩაი, ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის დარაჯი. ამ საწყალი კაცის გვამი სამშაბათს სწორედ მინდობილი მაღაზიის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. გაირკვა, რომ ცოტა ხნის წინ საკჩაი ძლიერი სტრესის გამო მკურნალობდა, გამოკეთდა კიდეც, მაგრამ საყვარელი „ლივერპულის“ მატჩზე ბილეთი ვერ იშოვა და...

მოკლედ, ადგა კაცი, მოირგო „ლივერპულის“ წითელი მაისურა და მეოთხე სართულიდან გადმოხტა. ჯიბეში პოლიციამ უბის წიგნაკი უპოვა. იქ ეწერა: „მინდოდა, საზამთრო მეჭამა და თან „ლივერპულის“ თამაში მენახა“.

**გიგა ქოგახიძე**

## გერმანია

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი
### შალკე 2:1 დორტმუნდი

**1:0, 2:0 აგალი (2, 12), 2:1 ბობიჩი (75)**
**შალკე: რეკი, ვან კერკჰოვენი, ჰაიტო ვალდოხი, კმეტჩი, ვან ჰუგდალემი, ვერმანტი, ბიომე, მიოლერი, ე. მპენზა (სანდი 62), აგალი (ასამოა 78)**
**მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი**
**დორტმუნდი: ლემანი, ვიორმსი, მეცელდერი, ევანილსონი, სტევიჩი, ჰაინრიხი, როიტერი, რიკენი, ბობიჩი, ამოროზო, სორენსენი (ჯ. რეინა 46)**
**მწვრთნელი: მათიას ზამერი**
**15 000 მაყურებელი**

**„შალკე 04“** გერმანიის ლიგის თასის ფინალში გავიდა. ვიცე-ჩემპიონებმა ნახევარფინალში „ფრაიბურგის“ მძლეველი დორტმუნდის „ბორუსია“ დაამარცხეს 2:1. მატჩი „შალკემ“ აქტიურად დაიწყო. უკვე მე-12 წუთზე ახალწვეულის, 22 წლის ნიგერიელი ვიქტორ აგალის გოლებით 2:0 უგებდა მეტოქეს. ამის შემდეგ გელზენკირხენელები დაცვაში ჩადგნენ, რის ხარჯზეც დორტმუნდელებმა შეტევები გაამწვავეს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს, სტეფან როიტერის დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. მეორე ტაიმში დორტმუნდელები აგრესიულად ათამაშდნენ, 75-ე წუთზე ფრედი ბობიჩმა შეამცირა ანგარიშის სხვაობა, ბოლო წუთზე გაათანაბრებდნენ კიდეც, მაგრამ კვლავ ძელი და „შალკე“ ფინალში გავიდა, რომელიც 21 ივლისს გაიმართება და იქ „ბაიერნი“ — „ჰერტას“ გამარჯვებულს შეხვდება.

„ეს კარგი გამოცდა იყო ჩვენთვის — აღნიშნა „შალკეს“ კმაყოფილმა შალკეს მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა — „პირველ ტაიმში ჩინებულად ვითამაშეთ, ახალწვეულეთაც კმაყოფილი ვარ“. გერმანიის ლიგის თასის გათამაშება 1997 წლიდან არსებობს და მასში ქვეყნის ექვსი საუკეთესო გუნდი მონაწილეობს.



დორტმუნდელი მარსიო ამოროზო და გელზენკირხენელი სვენ კმეტჩი

REUTERS

**ლაშა გეგეჭკორი**

# დებიუტი: გოლიანი და გულიანი

**ურუგვაელმა** გუსტავო პოიეტმა გუშინწინ პირველად მოირგო „ტოტენჰემის“ მაისურა და შვიდკაციანი გაწევ-გამოწევის მიზეზიც გახდა. „სვინდონ თაუნთან“ საწვრთნელ შეხვედრაში 33 წლის ემოციურმა ნახევარმცველმა იდაყვი ჩაარტყა მეტოქის უელსელ მცველ გარეთ დევისს, ვინაც ხურდა დაუბრუნა და შედეგად, ჯიკაობაც ატყდა. მოჩხუბრები მალე გააშველეს, თუმცა მსაჯმა წითელი ბარათის ხმარება ზედმეტად მიიჩნია და მასპინძელთა მწვრთნელს უბრალოდ დევისის შეცვლა სთხოვა. ასეც მოხდა, ბოლო დარჩენილ 11 წუთში „ტოტენჰემმა“ ორი გოლიც გაიტანა და სეზონის პირველი მატჩი 3:1 მოიგო. არადა, პირველი ტაიმის მერე „სვინდონი“ ლიდერობდა.

ასევე ორი ბურთით იმარჯვა „ტოტენჰემის“ მეზობელმა „არსენალმა“, რომელიც ნონ-ლიგის „ბორემ ვუდს“ ესტუმრა და დამსწრე საზოგადოებას ახალწვეულები წარუდგინა. სწორედ ერთ-ერთმა ამათგანმა, „ევერტონიდან“ 10 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ფრენსის ჯეფერსმა გაუტანა პირველი გოლი ცნობილ სქოთ მეკარე ენდი გორამს მე-8 წუთზე, 42-ეზე კი თავი დენის ბერხკამპმა გამოიჩინა. „არსენალში“ დებიუტი ჰქონდა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტსაც, ვინც ვენგერის ქება დაიმსახურა.



გუსტავო პოიეტმა (№18) მეტოქისკენ გაიწია

ახლა ინგლისის ვიცე-ჩემპიონი მიემგზავრება ავსტრიას, სადაც სამ თამაშს გამართავს: „მიუნხენ 1860“-თან, „მალიორკასთან“ და „რომასთან“.

**გიგა ქოგახიძე**

# ოფიცერი შირერი

მის 9-ნომრიან მაისურებს ხშირად „ღმერთი“ ეწერა და არა „შირერი“; ნიუკასლის ერთ-ერთ ეკლესიაში ლოცულობენ „მადლობა ალანს“ და არა „მადლობა უფალს“; ბევრ ჯორდს მიაჩნია, რომ უფალმა მეექვსე დღეს შექმნა „შირერი“ და არა „ადამი“. ერთხელ კი ჩრდილო ინგლისში აღმართული იესო ქრისტეს უშველებელი ქანდაკება მავან ფანთა ჯგუფმა ალან შირერის მაისურით შემოსა...

წმინდანად გამოცხადებამდე ჯერ შორია. სამაგიეროდ, ინგლისის ნაკრების ყოფილი ფორვარდი დედოფალმა ელისაბედ მეორემ ბუკინგემის სასახლეში მიიწვია და „ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის ორდენი“ გადასცა. „თავი სიზმარში მეგონა“ — განაცხადა 30 წლის ორდენოსანმა, რომელიც სამეფო რეზიდენციას მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან, 8 წლის ქლოესთან და 6 წლის ჰოლისთან ერთად ეწვია. მესამე შვილი, ათი თვის ვილი, ვიზიტისას ბებია-ბაბუას დაუტოვეს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ესპანეთი

**ალავესი:** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო).**

**ბილბაო:** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

**ბარსელონა:** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

**სელტა:** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი).**

**დეპორტივო:** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა).**

**ესპანიოლი:** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა).**

**ლას პალმასი:** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

**მალაგა:** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაე არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია).**

**მალიორკა:** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

**ოსასუნა:** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), აილტონი (ვერდერი, გერმანია), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა).**

**რაიო ვალეკანო:** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

**რეალი:** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა); **ფერნანდო (ვალიადოლიდი), როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

**სოსიედადი:** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია).**

**სევილია:** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

**ტენერიფე:** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

**ვალენსია:** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა).**

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, რაულ, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), ფერნანდო (რეალი), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე).**

**ვილიარეალი:** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

**სარაგოსა:** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

## გერმანია

**მიუნხენ 1860:** თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ნექათ აიგიუნი (ბეშიქთაში, თურქეთი); **მიხაელ ვიზინგერი (ბაიერნი), დიდიე დეედენი (ანდერლეხტი, ბელგია), მარკუს ვაისენბერგერი (არმინია), საშა როსლერი (ულმი), სამუელ იპუა (მაინცი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია).**

**ვერდერი:** კლაუდიო პიზარო (ბაიერნი), ბერნარდ ტრარესი (ვალდჰოფი), იური მაქსიმოვი (ვალდჰოფი), დიტერ ფრაი (ნიურნბერგი), ვიქტორ სკრიპნიკი (ცილი), შტეფან ბრაზასი (ცილი), დირკ ფლოკი (არმინია), ლარს შმედესი (კარლსრუე), დონგ-გონკ ლი (პოჰანგ სტელერსი, ჩინეთი), აილტონი (ოსასუნა, ესპანეთი); **იაკუბ ვიერჩოვსკი (რუხი, პოლონეთი), ივან კლასნიჩი (ზანქტ პაული), შტეფან ბლანკი (შტუტგარტი), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი), საიმონ როლფესი (მოყვ.), ჰოლგერ ველაგე (ზანქტ პაული), რობერტო სილვა (სპორტინგ კრისტალი, პერუ).**

**კოტბუსი:** საბინ ილიე (ცილი), შტეფან ჰაიდრიხი (დინამო, დრეზდენი), თომას ნოიბარტი (დინამო, დრეზდენი), ჯონი რიოდლუნდი (?, ჩინეთი), თომას კოლერი (თამაში მიატოვა), კევინ მაკკენა (ჰართსი, შოტლანდია), ცანკო ცვეტანოვი (ცილი), მოჰამედ ლაკუილი (რაჯა კასაბლანკა, მაროკო); **სერჟიო ლეანდრო „ბრაზილია“ (პოგონი, პოლონეთი), რადოსლავ კალუჟნი (ვისლა, პოლონეთი), ლარს იუნგნიკელი (დინამო, დრეზდენი), ოტო ვინცე (ვალდჰოფი), ანდრე ლენცი (ალემანია), სილვიო შრიოტერი (დინამო, დრეზდენი), ვრაჟელ და სილვა (ულმი), მარკო ტოპიჩი (მილანი, იტალია), მამიდ ტერმინა (რაჯა კასაბლანკა, მაროკო).**

**დორტმუნდი:** კრისტიან ნერლინგერი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალფრედ ნოიჰაუსი (ცილი), ვოლფგანგ დე ბეერი (თამაში მიატოვა); **მარსიო ამოროზო (პარმა, იტალია), იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), აჰმედ მადუნი (მონპელიე, საფრანგეთი), ფლორიან კინგე (მოყვ.).**

**ბაიერნი:** მიხაელ ვიზინგერი (მიუნხენ 1860), ბერქანტ გიოქთანი (გალათასარაი, თურქეთი), პატრიკ ანდერსონი (ბარსელონა, ესპანეთი); **კლაუდიო პიზარო (ვერდერი), პაბლო ტიამი (შტუტგარტი), რობერტ კოვაჩი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი).**

**ფრაიბურგი:** მარკო ვაისჰაუპტი (ჰანზა), ზუბეირ ბაია (ბეშიქთაში, თურქეთი), რალფ კოლი (თამაში მიატოვა), ბიორნ დრაიერი (შტუტგარტ კიკერსი); **ფაბიან გერბერი (ზანქტ პაული), ზაზა ჯამთარაძე (ვინტერტური, შვეიცარია), იან მიონერი (მოყვ.), ბენჟამინ შვეჰერი (მოყვ.).**

**ჰამბურგი:** ჰანს იორგ ბუტი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი), ვაჰიდ ჰაშემიანი (ბოხუმი), სონერ იუსალი (ვალდჰოფი), ანდრეას ფიშერი (როტ ვაისი), თომას დოლი (თამაში მიატოვა), კარსტენ ბერონი (თამაში მიატოვა), იაცეკ დემბინსკი (ვიძევი, პოლონეთი), იოხენ კინცი (ცილი), მარინუს ბესტერი (თამაში მიატოვა); **მარტინ პიკენჰაგენი (ჰანზა), იორგ ალბერტცი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მარსელ მალტრიცი (ვოლფსბურგი), შტეფან ვახტერი (იურდინგენი), მოჰამედ ჰადი მაჰდავიკია (ფირუზი, ირანი), რონალდ მაული (ჰანზა).**

**ჰერტა:** სიქსტენ ვაიტი (ბეშიქთაში, თურქეთი), კაი მიხალკე (ნიურნბერგი), რუი მანუელ მარკეში (შტუტგარტი), ენტონი სანე (ნიურნბერგი), ბენჟამინ კოლერი (დუისბურგი), ბრაიან როი (ცილი), დარიუს ვოში (ბოხუმი); **ანდრეას ნოინდორფი (ლევერკუზენი), დენის ლაპაჩინსკი (როიტლინგენი), მარსელინიო პარაიბა (გრემიო, ბრაზილია), ბარტ გოორი (ანდერლეხტი, ბელგია), რობერტო პინტუ (შტუტგარტი), ნდერიმ ნეჯიპი (სლოგა იუგომაგნატი, მაკედონია), ტორბენ მარქსი (მოყვ.).**

**კაიზერსლაუტერნი:** სლობოდან კომლიენოვიჩი (ცილი), აქსელ როოსი (თამაში მიატოვა), უვე გოსპოდარეკი (ცილი), მარკო შტარკი (ზაარბრიუკენი), მარკო რაიხი (კიოლნი), მიქაელ შონბერგი (თამაში მიატოვა); **მიკაელ მიფსუდი (სლიმა უონდერერზი, მალტა), ალექსანდრ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს კულინგი (ლიუბეკი), თომას ჰენგენი (ვოლფსბურგი), ტორსტენ როიტერი (მოყვ.), დარკო ბოშკოვიჩი (მოყვ.), თომას რიდლი (მიუნხენ 1860).**

**კიოლნი:** კლაუს-დიტერ ვოლიცი (თამაში მიატოვა), მარკუს დვორაკი (ფიურტი), მარსელ გებჰარდტი (ცილი), რალფ ჰაუპტმანი (ქემნიცი); **იორგ რეები (ლევერკუზენი), ჰანო ბალიტჩი (ვალდჰოფი), მარკო რაიხი (კაიზერსლაუტერნი).**

**ლევერკუზენი:** ანდრეას ნოინდორფი (ჰერტა), პასკალ ცუბერბიულერი (არაუ, შვეიცარია), იორგ რეები (კიოლნი), რობერტ კოვაჩი (ბაიერნი), ადამ მატიშეკი (ცილი), რობსონ პონტე (ვოლფსბურგი), ანდრეას ვოსი (დუისბურგი); **ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი), მიხაელ ცეპეკი (კარლსრუე), ზოლტან სებესკენი (ვოლფსბურგი), ემანუელ პოგატეცი (კარნტენი, ავსტრია), მილე ბოჟიჩი (მოყვ.), თომას კლაინი (მოყვ.).**

**მიონხენგლადბახი:** მატეას ჰაგნერი (ფიურტი), მარკუს რაიტერი (ფიურტი), ჟელკო სოპიჩი (ალენი); **მარჩინ მიკელი (ლეგია, პოლონეთი), დანიელ ფელგენაუერი (ფიურტი), მარკუს მიუნხი (ბეშიქთაში, თურქეთი), ივო ულიხი (სლავია, ჩეხეთი), პერ კლუგე (ქემნიცი), მარკო კუნცელი (ბაბელსბერგი).**

**ნიურნბერგი:** ანდრეას კიოპკე (თამაში მიატოვა), იოხენ ვაიგლი (როიტლინგენი), მარკო კრისტი (ულმი), დომიჩო ბელიაკოვი (ობერჰაუზენი); **დიტერ ფრაი (ვერდერი), ენტონი სანე (ჰერტა), კაი მიხალკე (ჰერტა), მარკო ვილა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), რაფაელ შაფერი (ლიუბეკი), თომას შტელე (პფულენდორფი), ლარს მიულერი (ალემანია).**

**ჰანზა:** მარტინ პიკენჰაგენი (ჰამბურგი), ვიქტორ აგალი (შალკე), მატიას ბრაიტკროიცი (ზაარბრიუკენი), მარკო ცალმანი (ლიუბეკი), სლავომირ მაიაკი (ცილი), ჰენრი ფუხსი (ცილი), რენე შნაიდერი (ცილი); **მატიას შიობერი (შალკე), რონალდ მაული (ჰამბურგი), დელანო ჰილი (ტილბურგი, ჰოლანდია), მარკო ვაისჰაუპტი (ფრაიბურგი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი, ფრანკფურტი).**

**შალკე:** რადოსლავ ლატალი (სიგმა, ჩეხეთი), მატიას შიობერი (ჰანზა), უნალ ალპუგანი (რიზესფორი, თურქეთი), ალი გიოლი (პადერბორნი), ოლივერ ჰელდი (ზანქტ პაული), ტორსტენ ლეგატი (თამაში მიატოვა), იოჰან დე კოკი (თამაში მიატოვა); **მარკ ვილმოტსი (ბორდო, საფრანგეთი), სვენ ვერმანტი (ბრიუგე, ბელგია), ვიქტორ აგალი (ჰანზა), კრისტიან ჯორჯევიჩი (შტუტგარტი), მარსელ როზგონი (მაგდებურგი), კრისტოფერ ჰაიმეროტი (მოყვ.), ფილიპ ტროიანი (მოყვ.), სამუელ მატელანი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა).**

**ზანქტ პაული:** ჰოლგერ ველაგე (ვერდერი), ივან კლასნიჩი (ვერდერი), ჰაინც ვებერი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს ალფი (ქემნიცი), პეტერ სტაჩეკი (ნორდერსტედტი), ფრანკ დრიოგე (ნორდერსტედტი), მარეკ ტრეიდისი (ცილი), ფაბიან ბერგერი (ფრაიბურგი); **უგურ ინჩემანი (ალემანია), მუდახირუ ამადუ (ჰანოვერი); ტიჰომირ ბუნაკი (შიბენიკი, ხორვატია), ადამუ იაკუბუ (ვატენშაიდი), კატალინ რაკანე (აინტრახტი, ტრირი), ოლივერ ჰელდი (შალკე), კორი გიბსი (მაიამი, აშშ).**

**შტუტგარტი:** პაბლო ტიამი (ბაიერნი), რობერტო პინტუ (ჰერტა), შტეფან ბლანკი (ვერდერი), კრისტიან ლისტეში (ვერდერი), რუდიგერ კაუფი (არმინია), კრისტიან ჯორჯევიჩი (შალკე), ჯუზეპე კატიცონე (ზაარბრიუკენი); **რუი მანუელ მარკეში (ჰერტა), რობერტ ვუიჩევიჩი (მოყვ.), ფაბიო მორენა (მოყვ.).**

**ვოლფსბურგი:** მარტინ ვაგნერი (თამაში მიატოვა), მარსელ მალტრიცი (ჰამბურგი), ზოლტან სებესკენი (ლევერკუზენი), ანდრიას ვოსი (დუისბურგი), თომას ჰენგენი (კაიზერსლაუტერნი), ჰოლგერ ჰაიმანი (ქემნიცი), ჟან კასონგო ბანზა (?, კონგო), მაიკ ბუში (ბოხუმი), ვიტუს ნაგორნი (კარლსრუე), ჯონათან აკპობორი (ბაზელი, შვეიცარია); **რობსონ პონტე (ლევერკუზენი), ტობიას რაუ (აინტრახტი, ბრაუნშვაიგი), მიქაელ მადსენი (ბარი, იტალია), მარტინ პეტროვი (სერვეტი, შვეიცარია), ჟერნო პლასნეგერი (ზაარბრიუკენი), სეად რამოვიჩი (შტუტგარტ კიკერსი), ჰანს შარპეი (დუისბურგი), უჩე იგვე (ჰალსი), მიროსლავ კარჰანი (ბეშიქთაში, თურქეთი), მაიკ ფრანცი (მაგდებურგი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), კიკო ნარვაესი (ატლეტიკო, ესპანეთი),**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** ან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## იტალია

**ატალანტა:** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

**ბოლონია:** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

**ბრეშა:** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინოზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

**კიევო:** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია).**

**ფიორენტინა:** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა).**

**ინტერი:** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიან მენეზესი (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (პერუჯა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა), გრიგორის გეორგატოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი).**

**იუვენტუსი:** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი).**

**ლაციო:** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია, ესპანეთი).**

**ლეჩე:** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი).**

**მილანი:** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (ჰაიდუკი, ხორვატია), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაჟენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა).**

**პარმა:** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარია, თურქეთი).**

**პერუჯა:** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მიროსლავ ზაკეი (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), ანსელმო რობიატი (ინტერი), მარკო რივალტა (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეზი (ესტეჯლალი, ირანი).**

**პიაჩენცა:** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი).**

**რომა:** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი), აბელ ედუარდო ბალბო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია).**

**ტორინო:** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

**უდინეზე:** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ, საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი).**

**ვენეცია:** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი).**

**ვერონა:** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მირკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); **ანტონიო დილიზო (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალიეტი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსუ (ლუმეცანე), ანტონიო პიოვანელი (ჩიტადელა), ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი უცხოელი საქართველოში

## ბასკოს მთავარ მწვრთნელად რუსი პაველ გოოგე დაინიშნა


პაველ გოოგე

**საქართველოს** ორგზის ჩემპიონს, ბათუმის „ბასკოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. მომავალ სეზონში გუნდს რუსი სპეციალისტი პაველ გოოგე უთავკაცებს. „ბასკოს" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ეს ამბავი მას შემდეგ, რაც სასურველად დაასრულა გოოგესთან მოლაპარაკება. ახალი მწვრთნელის კონტრაქტი ერთწლიანია, თუმცა, არაა გამორიცხული, სეზონის განმავლობაში იგი უფრო გახანგრძლივდეს.

გოოგემ „ბასკოს" სათავეში კლუბთან კონტრაქტდამთავრებული და ბათუმელთა ორჯერ გამჩემპიონებელი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე შეცვალა. ეს ნიშნავს, რომ 40 წლის რუსი გახდა პირველი უცხოელი, რომელიც ქართულ გუნდს გაწვრთნის. თუმცა, გოოგეს მანამდეც ჰქონდა ურთიერთობა ქართულ კალათბურთთან და, კერძოდ, „ბასკოსთან" — იგი გუნდის კონსულტანტი გახლდათ, ხშირად ჩადიოდა ბათუმში და მწვრთნელ-მოთამაშეებს რჩევით შეეწეოდა-ხოლმე.

გოოგემ 26 წლისამ დაიწყო მწვრთნელობა და ჯერ უფის, იჟევსკის და ეკატერინბურგის ბავშვთა და ჭაბუკთა გუნდებს ხელმძღვანელობდა. მისი შეგირდები ორჯერ, 1990 და 1991 წლებში გახდნენ რუსეთის ჩემპიონები ჭაბუკებში. 1991 წელს გოოგე რუსეთის ჭაბუკთა გუნდების წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. 1996-1997 წლებში იყო რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. 1996 წელს სათავეში ჩაუდგა პერმის „ურალ გრეიტს" და ზედიზედ ორჯერ მოაპოვებინა რუსეთის სუპერლიგის აღმოსავლეთის დივიზიონის ჩემპიონობა. 1999 წელს, რუსეთის „ვარსკვლავთა მატჩში" ხელმძღვანელობდა „აღმოსავლეთის" ნაკრ;ებს.

შარშანდელი სეზონი გოოგემ სარატოვის „ავტოდორში" დაიწყო, მაგრამ კლუბის შარიანი პრეზიდენტის, სერგეი როდიონოვის მორიგ ხუშტურს ემსხვერპლა და თანამდებობა დატოვა. რუსეთში გოოგე ავტორიტეტული მწვრთნელია, განთქმული სიმკაცრითა და თეორიის შესანიშნავი ცოდნით. რუსულ პრესაზე დაყრდნობით, გოოგეს ერთ-ერთ მწვრთნელად გადაბირება მოსკოვის ცსკა-ს სურდა. ამით პირადად იყვნენ დაინტერესებულნი არმიელთა პრეზიდენტი ალექსანდრ გომელსკი და მთავარი მწვრთნელი ვალერი ტიხონენკო, მაგრამ, როგორც ხედავთ, რუსი სპეციალისტი საქართველოშია და „ბასკოს" თავკაცად დაინიშნა.

გოოგეს თანაშემწედ, ისევე როგორც ტომარაძის დროს, ნუგზარ კანდელაკი იმუშავებს.

# შაკილისთვის ზონა იდიოტიზმია

**მთელი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ორი კვირის განმავლობაში მოუთმენლად ელოდა 18 ივლისის დადგომას და იმ წუთებში, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ნბა-ს არაერთი ვარსკვლავი აწერს ხელს მრავალმილიონიან კონტრაქტს. უფრო მეტი მათგანი ჯერაც ჭოჭმანობს, რომელ გუნდში გააგრძელოს კარიერა, თუმც არიან ისეთებიც, რომელთაც არ აღელვებთ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გაჩაღებული გაცხოველებული ვაჭრობა.


შაქილ ონილი ბრაზობს

ბოლო წლებში ნბა-ს დამპყრობი „ლეიკერსის" გოლიათ ცენტრ შაკილ ონილს საკუთარ კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ამასთან შაკმა შარშან „ლეიკერსთან" კიდევ სამწლიანი წინასწარი ხელშეკრულება დადო, რის მიხედვითაც 2003 წლის შემდეგ კიდევ სამი წლით დარჩება ლოსანჯელესურ გუნდში და ამ ვადაში 90 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ასე რომ, შაკის მომავალი უზრუნველყოფილია და ახლა მისი გონება სულ სხვაგან ქრის.

შაკილ ონილი შეუშფოთებია ნბა-ს მამების გადაწყვეტილებას, მომავალი, 2001-02 წლების სეზონიდან ლიგაში დაშვებული იქნას ზონური დაცვა და „ლეიკერსის" 160-კილოგრამიანი ლიდერი ამის წინააღმდეგ ილაშქრებს. „ესაა იდიოტური წესი, დიდი სისულელე, რომლის შემოღებაც თამაშს უინტერესოს გახდის. დაეცემა შედეგიანობა, ამასთანავე სატელევიზიო რეიტინგი და აქედან ლიგის შემოსავალი — ამბობს ონილი — ხალხი ველარ ნახავს აივერსონის გარღვევებს და სტივ ნეშის გამჭოლ პასებს. ჩვენ მივიღებთ საზიზღარ თამაშებს, რომლებიც 60:70 ანგარიშით მთავრდება და ხალხი ამ მატჩების სანახავად 50, 60 და 100 დოლარს არ გაიღებს. იმ საძაგლობის სანახავად, რასაც ზონის წყალობით მივიღებთ, მეც ნაღდად არ გადავიხდიდი ამდენს."

აქვე ონილმა ისარგებლა შემთხვევით და მუდმივ მტრებს — ვეტერან კალათბურთელებსაც გაჰკრა კბილი: „ლიგა ცდილობს ბოლო წლებში დაცემული შედეგიანობის გაზრდას, მაგრამ ამ გზით ხომ უკან წავალთ. ასეთ დროს ზონაზე დაყრდნობა სრული იდიოტიზმია. თუ ლიგის ხელმძღვანელობა ნბა-სადმი ინტერესის გაზრდას ცდილობს, ამისთვის გაცილებით უკეთესი გზა არსებობს. მაგალითად, აიძულოს(!) ბებერი მოთამაშეები, რომლებიც მოედანზე ძლივს დაჩაქჩაქებენ და მილიონებს ხვეტენ, წავიდნენ ლიგიდან, სანაცვლოდ კი ახალგაზრდები მოიზიდოს".

ონილის შფოთვა ადვილი გასაგებია. მას აივერსონზე, ნეშსა და სხვა ფეხმარდ ბიჭებზე მეტად საკუთარი თავი აღელვებს. ნბა-ში აქამდე მოქმედი წესები, რომლებიც შემტევ კალათბურთელზე ერთზე მეტი კაცით მეურვეობას კრძალავს, სანამ შემტევი ბურთის ტარებას არ შეწყვეტს, ონილისთვის პირდაპირ ზედგამოჭრილია. თავისი უზარმაზარი სხეულის კვალობაზე საკმაოდ მოძრავ შაკისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს ერთი მეურვის გაბითურება, ვინც არ უნდა იყოს ის. ძველი წესებით თამაშისას იგი პრაქტიკულად შეუჩერებელია, მისი შეზღუდვა მხოლოდ ხშირი ჯარიმებით ხერხდება. ზონის დროს კი, როცა შაკს ორი და მეტი მცველი აეკიდება და დასწრებაზე ეთამაშება, იგი თავს ძველებურად ხალვათად ველარ იგრძნობს.

ონილის ნათქვამში არის სიმართლე. ზონური დაცვა შემტევ გუნდს თავისუფალ სივრცეებს შეუზღუდავს და შედეგიანობას შეამცირებს. არადა, ნბა-ში უპირატესობას ყოველთვის შემტევ და, ამდენად, სანახაობრივ თამაშს ანიჭებდნენ. ახლა კი, როცა ბოლო წლებში მართლაც რამდენადმე დაეცა შედეგიანობა, ლიგა ამ ტენდენციას ხელს კი არ უშლის, პირიქით იქცევა, რაც მართლაც საკვირველია.

ლიგის ეს ნაბიჯი შესაძლოა, შარშანდელი ოლიმპიადით აიხსნას. სიდნეიში ჩასული და იქ პლანეტის უძლიერეს, თუმც მაინც თავისზე სუსტ გუნდებთან გაჯიბრებული ამერიკის ნაკრები ბევრ პრობლემას გადააწყდა. ოლიმპიადა, ცხადია, არა ნბა-ს, არამედ სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის, ანუ ფიბას წესებით ტარდება, რომელიც უშვებს ზონურ დაცვას. ჰოდა, თავისუფლად შეტევას ნაჩვევმა ნბა-ს სუპერვარსკვლავებმა გვარიანად წაიბორძიკეს, როცა ზონურ დაცვას წააწყდნენ. რამდენიმე გუნდი ძლივს დაამარცხეს, ლიტვის ნაკრებს კი მხოლოდ ორი ქულით, შემთხვევის წყალობით მოუგეს და ლამის თავი მოეჭრათ. ღესდღეობით ნბა-ს რჩეულები მსოფლიოში უძლეველები არიან, თუმც, ცხადია, ისინი ოდესმე უნდა დამარცხდნენ. ბუნებრივია, ნბა-ს მამები ყოველ ღონეს იხმარენ, ეს მარცხი თავიდან აიცილონ და ამ შემთხვევაში ხსნას იქნებ სწორედ ზონური დაცვის დაშვებაში ხედავენ.

**ირაკლი ფირცხვილი**


ვლადიმერ ბოისა

# ქართველი ოლიმპიურ დუქინში

## ითამაშებს ბოისა ევროლიგაში?

***საქართველოს** კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების 20 წლის ფორვარდი ვლადიმერ ბოისა, რომელიც ლიუბლიანის „ოლიმპიადან" იმავე ქალაქის „სლოვანში" იყო განათხოვრებული, პატრონ გუნდს დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც ვოვამ ეროვნულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი წრის მატჩები ითამაშა, „ოლიმპიამ" იგი უმალ შეკრებაზე იხმო და ბელგრადში იახლა. ვლადიმერს არაერთხელ უთქვამს, თუ კვლავ განათხოვრებას დამიპირებენ, სლოვენიაში გამჩერებელი აღარ ვარო. თუმცა ჩვენებურმა სლოვენია რომ დატოვოს, სასწაული უნდა მოხდეს, რადგან „ოლიმპიას" თავკაცი ზმაგო საგადინი შეკრებაზე მისით ერთობ კმაყოფილი დარჩა.*

*ორიოდ დღის წინ ვლადიმერ ბოისა სამშობლოში დაბრუნდა. ჯობს, სლოვენიური ამბების შესახებ თავად მას მოვუსმინოთ.*

— „ოლიმპიას" ხელმძღვანელობა ივნისში, ჩვენი ნაკრების მატჩების დროს შემეხმიანა და შეკრებაზე მიხმო. თავიდან იუგოსლავიაში ჩავედით და ამხანაგური მატჩი გავმართეთ ბელგრადის კლუბების ნაკრებთან. ჩვენს გუნდსაც სიმბოლურად ლიუბლიანის ნაკრები ერქვა. ოთხი ქულით წავაგეთ. სათამაშო დროის უმეტესი ნაწილი მოედანზე გავატარე. ამის შემდეგ სლოვენიაში დავბრუნდით და ორი კვირა ინტენსიურად ვვარჯიშობდით. ძალიან მკაცრი გრაფიკი გვქონდა.

**— კვლავ განათხოვრებას ხომ არ გპირებენ?**

— ზმაგო საგადინისთვის არაერთხელ მითქვამს, თუ კვლავ განათხოვრებას დამიპირებთ, მაშინ კონტრაქტს გავწყვეტ და სხვა კლუბში გადავალ-მეთქი.

**— შემოთავაზებები გქონდათ?**

— დიახ.

**— ხომ არ დააკონკრეტებთ?**

— ჩემი მენეჯერის თხოვნით, კლუბების სახელებს ვერ გეტყვით. ერთი მათგანი საფრანგეთიდანაა, მეორე კი — გერმანიიდან. ორივე კლუბი წლეულს თავ-თავიანთი ჩემპიონატის ექვსეულში მოხვდა. რაც შეეხება ლევერკუზენის „ბაიერს", მის წინადადებაზე უარი ვთქვი. თუ გადასვლაზე მიდგა საქმე, პრობლემა არ იქნება, რადგან „ოლიმპიას" ჩემი საკმაო ოდენობით ვალი აქვს და კონტრაქტს როცა მინდა, მაშინ გავწყვეტ. თუმცა ამას არ გავაკეთებ, კლუბი ძალიან მომწონს.

**— მწვრთნელმა რა გითხრათ, მოეწონეთ?**

— საგადინი ჩემით კმაყოფილი დარჩა და გუნდში დარჩენაც შემომთავაზა. თორმეტ კაცში ადგილი დავიმკვიდრე, თუმცა სისტემატურად ვითამაშებ თუ არა ძირითად შემადგენლობაში, ამის გარანტია მან ვერ მომცა. მწვრთნელს ჩემი ფეხის ტრავმა აღარდებს, რომელიც ადრე მივიღე და თავი განვლილ სეზონშიაც შემახსენა.

**— თქვენ რა გადაწყვიტეთ?**

— „ოლიმპია" ძალიან მიყვარს, იგი მაღალი დონის გუნდია და მასში თამაში ყოველთვის სასიამოვნო უნდა იყოს. გითხარით, რომ თორმეტეულში მოვხვდი, მაგრამ ძირითად ათ კაცში მოხვედრის შანსიც არ დამიკარგავს. ჩემს პოზიციაზე ლიტველი მინდაუგას ჟუკაუსკასი თამაშობს, თუმცა დიდი შანსია, იგი სხვა გუნდში გადავიდეს. თუ ასე მოხდა, ძირითადშიც დავიმკვიდრებ ადგილს, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, მაინც აქ დავრჩები, რადგან საგადინი დამპირდა, ბევრს თუ ცოტას, მაინც ითამაშებო.

**— მაშ, გაისად „ოლიმპიაში" გიხილავთ?**

— დიახ. ეს თითქმის გადაწყვეტილია. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა სლოვენიაში ჩავალ.

**— ეს როდის მოხდება?**

— 28 ივლისს მივემგზავრები, „ოლიმპია" წინასასეზონო მზადებას იწყებს და ყველაფერი საბოლოოდ იქ გადაწყდება. კარიერის საფრანგეთსა და გერმანიაში გაგრძელებასაც არ გამოვრიცხავ, ოღონდ ამის შანსი ძალიან მცირეა.

**— თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამბობთ, გამოდის, რომ ნაკრების მოსამზადებელ შეკრებაზე ვერ ჩამოხვალთ...**

— სამწუხაროდ, ასეა, რადგან „ოლიმპია" არა მარტო ეროვნული ჩემპიონატისთვის, არამედ ევროლიგისთვისაც სერიოზულად ემზადება და გუნდიდან დროზე ადრე გამოშვება გამორიცხულია. ნაკრებს პირდაპირ ბულგარეთში შევუერთდები.

**ირაკლი ბერტაია**

სარბიელელები ვწუხვართ ჩვენი კოლეგის **ლევან თოფურიძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალისტი

**ლევან თოფურიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# სამარანჩი 81 წლისა დაიღალა



დავიღალე, თქვა სამარანჩმა და ექიმი გამოიძახა

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობისას ხუან ანტონიო სამარანჩის ავადმყოფობა არავის გაუგია. არადა, ესპანელი მარკიზი ოლიმპიურ მოძრაობას 21 წელი განაგებდა. ხნიერი კაცის ასეთი ამტანობა ყველას აკვირვებდა.

და აი, ოლიმპიური მოძრაობის სადავეები ბელგიელ ჟაკ როგს რომ გადაულოცა, ესპანელი მარკიზი მეორე დღესვე საავადმყოფოში გააქანეს. სწორედ იმ დღეს, სამშაბათს, 17 ივლისს სამარანჩი 81 წლის გახდა.

„წინა ღამეს იგი თავს ცუდად გრძნობდა. ამჯერად უკეთაა, მაგრამ ექიმების რჩევით ერთი-ორი დღე საავადმყოფოში დარჩება" — იტყობინებიან სოკ-ის თანამშრომლები.

ვარაუდობენ, რომ სამარანჩის ავადმყოფობა მისთვის ერთობ ემოციურმა ორშაბათმა განაპირობა. მოგეხსენებათ, მოსკოვში 16 ივლისს სამარანჩმა თავისი ძალაუფლება როგს გადასცა. გამოსამშვიდობებელ ცერემონიალზე სამარანჩზე არაერთი თბილი სიტყვა ითქვა. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა კი ესპანელი მარკიზი ოქროს ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა. სოკ-ის გულაყუჩებულ მეშვიდე პრეზიდენტს ცრემლებიც წამოუვიდა. ეს იყო ორშაბათს, 112-ე სესიის ბოლო დღეს. სამშაბათს დილით, შვეიცარიაში გამგზავრებამდე, სამარანჩი კიდევ ერთ სხდომას დაესწრო.

საინტერესოა, რომ ხვალ, გეგმის თანახმად, ლოზანაში, სოკ-ის შტაბბინაში სამარანჩს ჟაკ როგისთვის სოკ-ის სიმბოლური გასაღები უნდა გადაეცა. როგორც ეტყობა, მთავარი ოლიმპიური გასაღების გადაცემის ცერემონიას ესპანელის გამოჯანმრთელებამდე მოცდა მოუწევს. მანამდე კი ექიმები აცხადებენ, სამარანჩს ნუ შეაწუხებთ, უმჯობესია, თუ ცოტას დაისვენებს, ყველაფერი ეს გადაღლილობის გამო დაემართაო.

**გიგა გურასპაშვილი**

## ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები
### მურსია (ესპანეთი). 22-26 ივლისი



ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენებს მურსიის გზა ნონა გაფრინდაშვილმა, მზია ჯუღელმა და დავით ციმაკურიძემ დაულოცეს



# ათენის გზა მილდრონატით იწყება

*ათენის 2004 წლის ოლიმპიადამდე ჯერ გვარიანი დროა, მაგრამ რა ახსნა უნდა — მზადება აქედანვე უნდა დაიწყოს. მათ, ვინც სიდნეის ოლიმპიადაზე არ შეგვარცხვინეს და ათენში მეტის მიღწევა განუზრახავთ, ყურადღება სჭირდებათ, ისევე, როგორც ახლებს. უმთავრესი, ცხადია, სპორტსმენთა ჯანმრთელობაა, რაც დიდ დროსა და სახსრებს მოითხოვს. თავის აზრებს გვიზიარებს საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.*



— სიდნეის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ათენისთვის ზრუნვა დავიწყეთ და რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადავდგით. მოგეხსენებათ, სპორტსმენს, სამედიცინო თვალსაზრისით ორი რამ სჭირდება — გამოკვლევა და მკურნალობა. ოლიმპიელთათვის კი ორივე საქმე უმაღლეს დონეზე უნდა შესრულდეს, თუ რიგიანი შედეგები გვსურს. ჩვენ ვცდილობთ, საქართველოში მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებებს დავუკავშირდეთ, სადაც ზუსტი გამოკვლევებისა და სრულყოფილი მკურნალობის გარანტია გვექნება. ამას წინათ პარლამენტის სამედიცინო კომისიის წევრმა გია ხაჭაპურიძემ სანკტ პეტერბურგის ბიოსამედიცინო კვლევათა ცენტრ „დინამიკასთან" დაგვაკავშირა, სადაც ქართველი ზურაბ რელიძის ხელშეწყობით 20 სპორტსმენს ძვირადღირებული გამოკვლევები უფასოდ ჩაუტარეს. იმ ცენტრს აქვს უნიკალური საკვლევი აპარატი „ომეგა სპორტი", რომელიც წუთებში ყველა საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს. გარდა ამისა, სპორტსმენებს გამოგვიკვლევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრაზე პროფესორი რომანოზ სვანიშვილი, პალიკო კასრაძე და თამარ სვანიშვილი. სრულიად უანგაროდ, სხვათა შორის. ოლიმპიელთა გამოკვლევა მოხდება სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით. ძვალსახსროვანი აპარატის გამოკვლევებს ულტრასონოგრაფის ცენტრში, აკადემიკოს დავით ტატიშვილთან გავივლით. ამჟამად უკვე ვიკვლევთ სპორტსმენებს ჯანდაცვის სამინისტროს სპორტული დიაგნოსტიკის ცენტრში, რომელსაც ოთარ ვირუბოვი ხელმძღვანელობს.

მკურნალობას რაც შეეხება, გურამ გურგენიძის კლინიკაში ოლიმპიელებს ფიზიოპროცედურები და მანუალური თერაპია ჩაუტარდებათ. ხოლო რეაბილიტაციის საქმეში ნახსენები პალიკო კასრაძის იმედი გვაქვს.

**— ამ ყველაფერს სოლიდური ფინანსები დასჭირდება.**

— უკვე გვეხმარებიან. სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში გამოკვლევების დაფინანსებას ჯანდაცვის სამინისტრო და სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ" დაგვპირდნენ. ფარმაცევტული ბაზები — „ავერსი" და „ჯი-პი-სი" რეგულარულად და უსასყიდლოდ გვაწვდიან ისეთ საჭირო მედიკამენტებს, როგორებიცაა „სტიმოლი", „აქტოვეგინი", „ციტრარგინინი", „მილდრონატი"... „მილდრონატზე" ცალკე უნდა გითხრათ — ახალი, იდეალური საშუალებაა სპორტსმენის სტიმულირებისთვის.

**— დოპინგია?**

— არა, ის არ შედის აკრძალული პრეპარატების სიაში, რომელსაც საერთაშორისო ანტისადოპინგო კომისია აქვეყნებს, ამ დროს კი ჩინებული მეტაბოლიკური თვისებები აქვს. იგი ზრდის ორგანიზმის მუშა რეზერვებს და ააშკარავებს ჩავარდნებს გაზრდილი დატვირთვების დროს. ჩვენ მისი შემოწმება 7 იანვრიდან დავიწყეთ და ყველაზე ფართო ექსპერიმენტები ახლახან, ბაკურიანში ჩავატარეთ, სადაც პრეპარატი თავისუფლი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებზე გამოვცადეთ და მერე ძიუდოისტებზეც. 70 კაციდან 50-ს „მილდრონატს" ვასმევდით, დანარჩენებს — „ინოზინს" და მერე სპეციალური გეგმით ვავარჯიშებდით, რაშიც შედიოდა: 4-8 კილომეტრიანი კროსი, ასვლა კოხტაგორაზე, 80-100-კილოიანი შტანგებით ვარჯიში და ასე შემდეგ. „მილდრონატმა" თითქმის იდეალური შედეგები მოგვცა. არც ერთ სპორტსმენს არ დაუწუწუნია დაღლილობაზე და პულსიც ბევრად უკეთ ალუდგათ, ვიდრე მათ, ვინც „ინოზინი" მიიღო. სამწუხაროდ, ეს პრეპარატი სიდნეიში არ გვქონდა, თორემ ვინ იცის... რაც „მილდრონატის" გამოყენება დავიწყეთ, ჩვენმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატებზე 5 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

**— მაინც რამდენად გამართლებულია სპორტსმენის ორგანიზმში ხელოვნური სტიმულატორების შეყვანა?**

— არა მარტო სპორტსმენების. „მილდრონატის" მიღებას თქვენც და ყველას ვურჩევ, რადგან ჯანმრთელობას არ არყევს (გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება) და უჯრედებსაც ჟანგბადს სრულფასოვნად აწვდის. ეს კი მნიშვნელოვანია გაზრდილი ფიზიკური დატვირთვებისას, რასაც განსაკუთრებით მოჭიდავეები და ძალოსნები იტანენ. საჭიდაო შეჯიბრის სპეციფიკა მოგეხსენებათ — იქ შეიძლება უმძიმესი ბრძოლა გადაიტანო და ნახევარ საათში ხალიჩაზე გიხმონ. უსტიმულატოროდ ამის გაძლება თითქმის შეუძლებელია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ „მილდრონატი" დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ანტისტრესული ეფექტიც გააჩნია. მოკლედ, ვთვლი, რომ „მილდრონატის" დანერგვით წინ წავიწიეთ.

საერთოდ კი მინდა აღვნიშნო, რომ ათენის ოლიმპიადისთვის მზადებას უკვე შევუდექით და არასწორია აზრი, თითქოს ოლიმპიურ ნაკრებში მედიკოსები არაფერს ვაკეთებთ. შედგენილია ვრცელი სამოქმედო პროგრამა („სამედიცინო მომსახურების გეგმა 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის"), რომელშიც ყველა მიმართულებაა ასახული. იმედი მაქვს, ქართველ სპორტსმენთა ფიზიკური მდგომარეობა ათენში სასურველ დონეზე იქნება.

**— უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?**

— 24 აგვისტოს მე და თამაზ თევზაძე (ევროპის ანტისადოპინგო კომისიის წევრია) ჰელსინკიში მივემგზავრებით, სადაც დიდი კონფერენცია ტარდება სახელწოდებით „დოპინგი 21-ე საუკუნეში". იქიდან, ალბათ, დოპინგზე უახლესი მასალით დატვირთულნი ჩამოვალთ.

**დავით გულუა**

# სირცხვილს გადავურჩით: მურსიაში მივდივართ
## თუ მედალს აიღებ, გაფრინდაშვილს ჭადრაკს ეთამაშები!

**მას** შემდეგ, რაც ესპანეთმა სტოკჰოლმში 1997 წელს ევროპის ეოკ-თა გენერალურ ასამბლეაზე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების მასპინძლობისთვის დავაში რუსეთი, საფრანგეთი და იუგოსლავია დაამარცხა, ოთხი წელი გავიდა.

მოგეხსენებათ, მაშინ მურსიამ გაიმარჯვა. და აი, დადგა დრო, როდესაც ხმელთაშუა ზღვის ამ ქალაქმა 22-26 ივლისს ბებერი კონტინენტის ახალგაზრდა სპორტსმენებს უნდა უმასპინძლოს.

მურსიაში ახალი ათასწლეულის პირველი, რიგით კი VI ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში 48 ქვეყნის 3000-მდე სპორტსმენთან ერთად ქართველებსაც ელიან.

ჩვენი დელეგაციის მურსიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით გუშინ მასმედიის წარმომადგენლები საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს. როგორც საქართველოს ეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა გვითხრა, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში საქართველოს მონაწილეობა საეჭვო იყო. მეტიც, მურსიაში გამგზავრებაზე ხელის ჩაქნევასაც აპირებდნენ, თუმც...

საქმე ისაა, რომ ფინანსების უქონლობის გამო ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებს მურსია ჩვენს გარეშე უმასპინძლებდა და ამით სირცხვილს ვერ ავიცილებდით თავიდან. არადა, მაშინ, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, ქვეყანაში დენთის სუნი იდგა და განუკითხაობა სუფევდა, 1993 წელს მოხერხდა ევროპის ამ უმაღლეს ფორუმზე, ვალკენსვაარდში (ჰოლანდია) გამგზავრება. მაშინ საქართველოს დებიუტი შედგა. ახლა კი ყბადაღებული სტაბილიზაციისა და ვითომ ეკონომიკური აღმავლობის რელსებზე შემდგარ საქართველოში ვერ გამოინახა იმის საშუალება, რომ ევროპისთვის მომავალი თაობა გვეჩვენებინა. მით უმეტეს, რომ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეებიდან ჩემპიონებისა და პრიზიორების გარეშე არასდროს დავბრუნებულვართ. საბედნიეროდ, სირცხვილს გადავურჩით. ხელისუფალთა უსუსურობით იმედგადაწურულებს მაშველად, უკვე მერამდენედ, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი გოგი თოფაძე მოგვევლინა. როგორც ემზარ ზენაიშვილმა გვაცნობა, მურსიაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯებს, მგზავრობა იქნება ეს თუ დაბინავება, გოგი თოფაძე გაიღებს.

მადლობის სიტყვები გაისმა გერმანიისა და რუსეთის საელჩოების მიმართაც. თუ ამ უკანასკნელმა ქვეყანაში შესასვლელი ვიზები ნახევარ ფასში დაგვითმო, გერმანელებმა ეს სრულიად უანგაროდ გააკეთეს.

ამის მერე პრესკონფერენციაზე სპორტსმენთა წარდგენის დროც დადგა. საქართველოს ეოკ-ში თავშეყრილ ახალგაზრდა ოლიმპიელებს გზა ჩვენს ვეტერანებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მზია ჯუღელმა და დავით ციმაკურიძემ.

სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა კი გარდა იმისა, რომ დელეგაციის წევრებს წარმატებები უსურვა, ვაჟ სპორტსმენებს, განსაკუთრებით კი ძიუდოისტებს, სთხოვა, ჩვენს გოგოებს ყურადღება მიაქციეთო. ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ ქალბატონ ნონას გაანდო, ჩოგბურთთან ერთად ჭადრაკიც მიყვარსო. სეოკ-ის პირველმა პრეზიდენტმა პირობა დადო, ჭადრაკს მაშინ ვითამაშებთ, როდესაც მედლით დაბრუნდებიო. ამაზე კარგ სტიმულს ვერც ინატრებ კაცი.

ბოლოს ტრადიციული ოლიმპიური ფიცის ჯერიც დადგა. ახალგაზრდა ქართველ სპორტსმენთა სახელით გამოსვლის პატივი ჩოგბურთელ ანა უროტაძეს ხვდა. ამ საპატიო მისიის შესასრულებლად იგი ამა თუ იმ ასპარეზობებზე ნაჩვენები შედეგებისა და ნორმატივების საუკეთესო მაჩვენებლების გამო შეურჩევიათ.

რაც შეეხება სპორტის სახეობებსა და სპორტსმენებს, მურსია სპორტის ათ სახეობას — მძლეოსნობას, კალათბურთს, ჩოგბურთს, ცურვას, ფრენბურთს, ხელბურთს, აფროსნობას, ფეხბურთს, ტანვარჯიშსა და ძიუდოს უმასპინძლებს. აქედან ოთხში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას. მურსიაში ჩვენს მთავარ იმედს, რა თქმა უნდა, ძიუდოისტები წარმოადგენენ. ბუნებრივიცაა, მათ ვალკენსვაარდიდან დღემდე 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი მოუპოვებიათ. ევროპის ახალგაზრდობის VI ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობას მიიღებენ: ძიუდოისტები — არჩილ შათირიშვილი, გიორგი შინჯიკაშვილი, თედორე აბელაშვილი, დათო სვიმონიშვილი, მინდია ხომიზური, ჯარჯი ზვიადაური, დათო ავალიანი და ლაშა გუჯეჯიანი; ჩოგბურთელები — ნანა უროტაძე და ლადო ჩიხლაძე; მძლეოსნები — მარიამ ქევხიშვილი და ზურაბ გიგაია; მოცურავეები — ანა სალნიკოვა და გიორგი ჩეჩელაშვილი.

**გიგა გურასპაშვილი**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

!

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი რალიში. მეორე ეტაპი

# რეპეტიცია გამოცდის წინ



ოლეგ ნაცვლიშვილის ფოტო

მეორე ეტაპზეც ყველას ვიქტორ თოდაძის ეკიპაჟმა აჯობა

**რალისტთა** ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპიც, პირველის მსგავსად, თბილისის შემოგარენში პრაქტიკულად იმავე ტრასაზე ჩატარდა. 230-კილომეტრიანი დისტანცია, რომლის მეოთხედიც ათ ჩქაროსნულ მონაკვეთზე განაწილდა, მონაწილეებს ორ დღეში უნდა დაეფარათ.

ასპარეზობაში რვა ეკიპაჟი ჩაება. სტარტი და ფინიში საბურთალოზე, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის შენობასთან იყო დანიშნული, მარშრუტი კი თბილისის ზღვის, ლისისა და მუხათწყაროს მიდამოებში გაიოდა.

პირველივე სპეცუბანზე, დენდროპარკში, მარცხი შეემთხვათ დავით და ზაზა იაშვილებს. მათი „ოპელი" ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში გადაბრუნდა, რის გამოც ძმები ბრძოლას გამოეთიშნენ. მოკლე ხანში ძრავის მიზეზით შეჯიბრებას ზაზა ზოზიაშვილის „ლადა-სამარაც" გამოაკლდა. ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრით ადრე კი ლევან ლომაძეს უმტყუნა თავისმა „ტოიოტამ". ეკიპაჟმა დაზიანებას უშველა, მაგრამ ბოლო საკონტროლო პუნქტზე დასაშვებზე მეტი დაგვიანების გამო რბოლიდან მოხსნეს.

ისევე როგორც წინა ეტაპზე, ამჯერადაც თავიდანვე ვიქტორ თოდაძისა და ვიქტორ ბაგრამოვის „სუბარუ" დაწინაურდა. ორი ვიქტორის დუეტმა ექვსიდან ხუთ მონაკვეთზე საუკეთესო დრო აჩვენა და პირველი დღის შემდეგ მდევრები საგრძნობლად, თითქმის წუთნახევრით ჩამოიტოვა. მეორე შედეგი ალექსანდრე ჯანელიძეს და ზურაბ ბაბუციძეს ჰქონდათ, მესამე — დავით წიკლაურსა და გიორგი არჯევანიძეს. ორივე წყვილი „ლადა-სამარათი" გამოდის.

იმის გამო, რომ გადატვირთული ტრასების გადაკეტვა რთულია, მეორე დღეს რბოლა გამთენიისას დაიწყო. ასპარეზობას შემორჩენილმა ხუთმა ეკიპაჟმა გეზი წყნეთი-კოჯრისკენ აიღო. ლიდერებმა მოპოვებული უპირატესობა ადვილად შეინარჩუნეს, მეორე ადგილისთვის კი უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. წიკლაურმა დასკვნითი ოთხი უბნიდან ორის მოგებით ჯანელიძეს საბოლოოდ ნახევარი წუთით აჯობა. მეორე პრიზიორთან თოდაძის უპირატესობა კი თითქმის ორი წუთით გამოიხატა.

სპორტის ამ ხარჯიან სახეობაში მხოლოდ საკუთარი სახსრებით წარმატების მოპოვება ძნელი საქმეა. ამიტომ აუცილებლად უნდა აღინიშნოს სპონსორთა წვლილიც. კერძოდ, წიკლაურს ფირმა „მედია კლაბ ჯორჯია" ეხმარება, ხოლო ჯანელიძეს — კონცერნი „შევრონი".

ამრიგად, ორი ეტაპის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (24) თოდაძე-ბაგრამოვის ეკიპაჟი ლიდერობს. წიკლაური და არჯევანიძე მათ რვა ქულით ჩამორჩებიან, მომდევნო ადგილებზე ათ-ათი ქულით ჯანელიძე-ბაბუციძისა და ირაკლი ჯაჯანაშვილ-ნუგზარ ბაინდურაშვილის წყვილებია.

ჩვენს მრბოლებს ზუსტად ერთ თვეში რთული გამოცდა ელით: საქართველოში პირველად გაიმართება საერთაშორისო რალი. მას საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი აქვს. ეროვნულმა საავტომობილო ფედერაციამ განიზრახა მოიწვიოს ეკიპაჟები რუსეთიდან, თურქეთიდან, ჩეხეთიდან, ბულგარეთიდან. აღნიშნული შეჯიბრება იმავდროულად საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი იქნება.

**ოლეგ ნაცვლიშვილი**

CART მეათე ეტაპი. ტორონტოს (კანადა) დიდი პრიზი

# ანდრეტიმ მოგების გემო გაიხსენა

**ამერიკელი** მაიკლ ანდრეტი კარტის ყველაზე გამოცდილი და სახელოვანი მრბოლია. ოკეანისგაღმურ ფორმულაში თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ჩემპიონობაც მოასწრო და არაერთ რეკორდსაც დაეპატრონა: მონაწილეობა მიიღო 279 რბოლაში, რომელთაგან 41 მოიგო, დააგროვა 2294 ქულა და ყველაზე მეტი წრეც ილიდერა, გარდა ამისა, 32-ჯერ აჯობა ყველას კვალიფიკაციაში.

შარშან, შუა სეზონში, კანადაში გამარჯვების შემდეგ მაიკლს მეტად უიღბლო პერიოდი დაუდგა — მომდევნო 18 ეტაპიდან ერთშიც ველარ იზეიმა წარმატება და მხოლოდ სამჯერ შეძლო საპრიზო ადგილის დაკავება.

ორმოცს მიტანებულმა ვეტერანმა ნავსი ზუსტად ერთი წლის თავზე ტორონტოში, იმავე ტრასაზე გატეხა. არადა, ანდრეტის მეტად უხეირო კვალიფიკაციის, კერძოდ მე-13 შედეგის გამო მისგან წარმატებას არავინ ელოდა, რადგან ქალაქის ვიწრო ქუჩებში, სადაც ზოგიერთ მონაკვეთზე გვერდიგვერდ ორი მანქანა ძლივს ეტევა, გასწრება შესაძლებელი კია, მაგრამ ძალიან სარისკო საქმეა. სწორედ ამ მიზეზით ბევრნი გამოაკლდნენ ასპარეზობას და პეისკარსაც ათჯერ მოუხდა გზაზე გასვლა.

ანდრეტისთვის რბოლა კინაღამ პირველივე წრეზე დასრულდა, ახალზელანდიელ დებიუტანტ სკოტ დიქსონთან მოსახვევში შეჯახების შემდეგ. ბედად სიჩქარე მაღალი არ ყოფილა და ორივე ბოლიდი მწყობრში დარჩა, თუმცა მაიკლს ძრავა ჩაუქრა და მისი უსიცოცხლო „რეინარდის" ბოქსებამდე მიგორებას და მოსულიერებას საკმაო დრო დასჭირდა. ექსჩემპიონი, ცხადია ქარავანის კუდში აღმოჩნდა.

პოული გასული წლის ტრიუმფატორმა ჟილ დე ფერანმა მოიგო. ბრაზილიელმა პილოტმა სტარტიდანვე ლიდერობა არავის დაანება, 95-წრიან დისტანციაზე ყველაზე მეტხანს იყო წინ და წლეულს პირველი გამარჯვების მშვენიერი შანსიც ჰქონდა, მაგრამ შუა რბოლისას ბოქსებში სტუმრობამ ერთბაშად მე-13 ადგილზე გადაისროლა, ფინიშამდე 50 კმ-ით ადრე კი ავარიის გამო საერთოდ გამოეთიშა ბრძოლას.

ანდრეტის, რომელსაც ბოლომდე ერთი შეცდომაც არ დაუშვია, თანდათან შემოეცალნენ მეტოქეები ზოგი შეჯახების, ზოგიც მანქანებში ტექნიკური ხარვეზების მიზეზით, ხოლო 70-ე წრეზე იგი თითქმის განახევრებულ პელოტონს სათავეშიც კი მოექცა. აღსანიშნავია, რომ 26 ბოლიდიდან ბოლომდე მხოლოდ 11-მა გაძლო, რაც უიშვიათესი შემთხვევაა (წლეულს პირველად მოხდა).

მართალია, ფინიშამდე ვერც ჩემპიონატის ლიდერმა კენი ბრაკმა მიაღწია, მაგრამ საერთო ჩათვლაში მის მოწინავე პოზიციას ამით არაფერი დაჰკლებია, რადგან უმთავრეს კონკურენტებს — ჰელიო კასტრონევეშსა და დარიო ფრანკიტისაც იგივე შეემთხვათ — ძრავის მიზეზით მათთვისაც რბოლა ნაადრევად დასრულდა.

ანდრეტიმ კანადაში მეშვიდედ, წლეულს კი პირველი გამარჯვებით მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და ბრაკს, რომ იტყვიან, სათოფეზე წამოეწია.

**გია ახალაძე**



მაიკლ ანდრეტის გამარჯვება მთელმა ოჯახმა მიულოცა

**რბოლის შედეგები**
**95 წრე — 268,5 კმ**

1. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 1 სთ 59.58,90 (134,176 კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. ალექს ტალიანი (კანადა, რეინარდ-ფორდი) ჩამორჩა 2,74; 3. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა, რეინარდ-ჰონდა) 4,39; 4. ალესანდრო ძანარდი (იტალია, რეინარდ-ჰონდა) 4,90; 5. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 5,60; 6. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 6,89; 7. მაურისიო გუჯელმინი (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 8,14; 8. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 10,38; 9. შინჯი ნაკანო (იაპონია, რეინარდ-ჰონდა) 15,82; 10. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1 წრით; 11. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 1 წრით; 12. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 2 წრით.

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 84 ქულა; 2. მაიკლ ანდრეტი 73; 3. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 70; 4. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 65; 5. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 58; 6. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 55; 7. სკოტ დიქსონი 54; 8. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 50; 9. კრისტიან ფიტიპალდი 49; 10. პოლ ტრეისი 48.



ტაი-ბრეიკი



AP ნიუსფოტოდან

მარვინ როუზი და ივან ლენდლი (მარჯვნივ) დიდების დარბაზში მიიღეს

# ივანის განდიდება

**გასულ** უქმეებზე ამერიკულ ნიუპორტში მდებარე ჩოგბურთის დიდების დარბაზი კიდევ ორი წევრით შეივსო. ამომრჩეველთა მაღალი კრიტერიუმები სპორტის წინაშე დიდი დამსახურებისთვის წლეულს ივან ლენდლმა და მარვინ როუზმა დააკმაყოფილეს.

ლენდლს ჩოგბურთის მოყვარულთა წინაშე დიდი წარდგენა არ სჭირდება. თუ გაამერიკელებული ჩეხის თამაში არ გახსოვთ, მისი მიღწევებიც საკმარის წარმოდგენას შეგიქმნით არაჩვეულებრივი კარიერის შესახებ: 270 კვირა კლასიფიკაციის პირველ ადგილზე, აქედან 157 ზედიზედ (რაც დღეისთვისაც რეკორდად რჩება); 8 დიდი სლემის ტურნირის ტიტული (1985-87 წლების აშშ-ის ღია პირველობა, 1984, 86 და 87 წლების როლან გაროსი და 1989-90 წლების ავსტრალიის ღია პირველობა); „მეიჯორების" 19-გზის ფინალისტობა; 1980 წლის დევისის თასი ჩეხოსლოვაკიის სახელით.

ერთადერთი, რაც ჩეხს ყველა დროის უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის მოხსენიებაში ხელს უშლის, უიმბლდონის ტიტულის არქონაა. ლენდლი „ოლ ინგლენდ კლაბში" გამარჯვების მანიით იყო შეპყრობილი, ბალახზე ორმაგი მონდომებითაც ვარჯიშობდა, მაგრამ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ანგარიშზე 1986 და 1987 წლებში ფინალში ორი მარცხილა აქვს.

„ჩემი კარიერის შესახებ ახლა ბევრს აღარ ვფიქრობ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვამაყობ იმით, რასაც მივაღწიე. ჩემი მთავარი სტიმული თავიდან ის იყო, როგორმე ჩეხოსლოვაკიიდან გამეღწია. მე ვიცი, რასაც წარმოადგენდა კომუნიზმი, თუმცა ბევრს ამაზე წარმოდგენაც არა აქვს. ნამდვილად არ მინდოდა, მთელი ცხოვრება ასეთ ქვეყანაში გამეტარებინა, ერთადერთი გზა დასავლეთისკენ კი დიდ სპორტზე გადიოდა. ოღონდ ისე არ გამიგოთ, რომ სხვა შემთხვევაში არ ვითამაშებდი, ჩოგბურთი მართლა ძალიან მიყვარს".

ლენდლმა მერე მშობლიურ ოსტრავაში გატარებული პატარაობის წლები გაიხსენა, როდესაც ოცნებობდა, საჩოგბურთო კლუბში სხვა მოთამაშეებს დაეგვიანათ ან საერთოდ არ მოსულიყვნენ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა დღეში თითოეული წევრისთვის გამოყოფილ ერთ საათზე მეტი ევარჯიშა. ამას აძალებდა დედა და მის ნიჭში დარწმუნებული პირველი მწვრთნელიც.

„ჩოგბურთი უნიკალური სპორტია. მას ინდივიდუალურს უწოდებენ, მაგრამ არ დაიჯეროთ, გზად ბევრი დამხმარე და ხელისშემწყობი ადამიანი თუ არ გამოგიჩნდა, ვერაფერს მიაღწევთ" — აღნიშნა ლენდლმა, რომელმაც 1992 წელს აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა კარიერაში 94 ტურნირის მოგება მოასწრო (ამ მაჩვენებლით მხოლოდ ჯიმი კონორსს ჩამორჩება) და ამჟამად კონექტიკუტის შტატში ცხოვრობს. ზურგის ხშირი ტკივილების გამო ლენდლი ჩოგანს საერთოდ ველარ ეკარება, სამაგიეროდ შესანიშნავად თამაშობს გოლფს და თავს ევლება თავის ხუთ ქალიშვილს, რომელთაგან ოთხი ჩოგბურთელობას აპირებს.

„თავიდან ძალიან გამიჭირდა იმასთან შეგუება, რომ საყვარელ სპორტს საბოლოოდ უნდა გამოვთხოვებოდი, მაგრამ რას იზამ, ჯანმრთელობა არ მაძლევს საშუალებას. გოლფის თამაშის დროსაც კი ხშირ-ხშირად თუ არ შევისვენე, ზურგი აუტანლად მტკივა, დიდხანს ფეხზე დგომაც მიჭირს. ჩოგბურთს ძირითადად გაზეთების საშუალებით ვადევნებ თვალს, თამაში კი ჩემი საყვარელი დიდი სლემის ტურნირის, ავსტრალიიის ღია პირველობის დაწყებისას მენატრება ყველაზე მეტად" — დაუმატა ლენდლმა.

თუ დიდების დარბაზის ზემოხსენებულ წევრს თითქმის ყველა იცნობს, მწვანეკონტინენტელი მარვინ როუზი ცოტას თუ ემახსოვრება. იგი 1950-იანებში თავისი ქვეყნის მძლეთამძლე დევისის თასის გუნდის წევრი იყო, 1954-ში ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, 1958-ში კი — როლან გაროსი. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ის საკმაოდ წარმატებული მწვრთნელიც გახლდათ, რომელსაც დიდად ემადლიერებიან მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები დიაცებში — ბილი ჯინ კინგი და არანჩა სანჩეს-ვიკარიო.

„მარვინმა ჩემი თამაშის სტილი და ცხოვრება შეცვალა. მან მასწავლა, როგორ უნდა გავმხდარიყავი მსოფლიოში საუკეთესო" — განაცხადა კინგმა, რომელმაც საზეიმო ცერემონიალზე წარუდგინა თავისი მოძღვარი საზოგადოებას.

„დიდების დარბაზში აქამდე 22 ავსტრალიელი იყო და როგორც იქნა, მეც მეღირსა მათ გვერდით მოხვედრა. ძალიან მიხარია, მაგრამ ისიც კარგი იქნებოდა, ჩვენს დროშიც იმდენი ფული გვეკეთებინა, რამდენიც დღევანდელ ვარსკვლავებს — გაიხუმრა როუზმა — ბევრი მეკითხებოდა, სულ ბადესთან რატომ გარბოდიო, პასუხი მარტივი იყო: იმიტომ, რომ უკანა ხაზზე თამაში საერთოდ არ ვიცოდი".

# თუ წინააღმდეგი არავინაა...

**ვაგრძელებთ** მინი-ჭორ-სერიალს ჩოგბურთის სამეფო ოჯახის ცხოვრებიდან: გერმანული „ბილდის" ცნობით, შტეფი გრაფი და ანდრე აგასი იანვარში ლას ვეგასში დაქორწინდებიან.

პოპულარული გაზეთი ახალ ამბავს „სარწმუნო წყაროებიდან" მიღებულად აცხადებს და ალბათ დაეჯერება კიდეც. ერთი კვირის წინ სწორედ „ბილდმა" გაავრცელა ცნობა გრაფის ფეხმძიმობის შესახებ, რაც მოგვიანებით ორივე სუპერვარსკვლავმა დაადასტურა.

32 წლის შტეფის დეკემბერში ბიჭი უნდა შეეძინოს და ქორწილის რამდენამე გადადებაც ნაწილობრივ ამით აიხსნება. კიდევ ერთი მიზეზი კი ის არის, რომ გრაფის და აგასის ადვოკატები გამალებით მუშაობენ საქორწინო კონტრაქტის გამოსაჩარხად, რაც იოლი საქმე სულაც არ გახლავთ: ჩოგბურთელთა ერთობლივი ქონება ხომ ბარე 200 მილიონ დოლარს აჭარბებს.

გრაფისთვის მომავალი ქორწინება პირველი იქნება, 32 წლის აგასის კი ადრე არანაკლებ ცნობილი მეუღლე, მსახიობი ბრუკ შილდსი ჰყავდა. ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ წყვილი 1999-ში, გაზაფხულზე განქორწინდა, რამდენიმე თვეში კი ანდრემ შტეფი იპოვა.

**ავთანდილ სვანიძე**



ბითჰოვენ სკოტლანდი რინგზე მოუსვლელად გარდაიცვალა

# დიდების საფასური

**ჩვენთან** არავის მოსწონს, როდესაც სანახაობის გამო ათლეტი კვდება. მოდი, პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ გვიყვარს საშინელება, მაგრამ მეორეხარისხოვანი და სულაც არ ვთვლით, რომ სიკვდილი აუცილებელია. არავის სიამოვნებს საბედისწერო ფინალი და არავინ ოცნებობს, რომ დანარცხებული მოკრივე ველარასოდეს ადგება.

დიახ, ჩვენ თითქოს ცივილიზებულები ვართ, მაგრამ ისიც ვაღიაროთ, რომ კარგად მოგვეხსენება — სიკვდილი გამორიცხული არ არის.

ამიტომაც გვიმძიმს ყოველთვის, როდესაც მეორე რანგის სანახაობის გამო სპორტსმენი გვიკვდება. ბითჰოვენ სკოტლანდი კი სამი შვილის 26 წლის მამა იყო და 26 ივნისს, ნიუ იორკში, ჯორჯ ხალიდ ჯონსთან ბრძოლის დროს, ჩვენს გასართობად, დანარცხებულმა წამოდგომაც კი შეძლო. ის აშკარად დაჯაბნეს, მაგრამ არ შეეპუა და უმნიშვნელო ბრძოლის ბოლო რაუნდამდე დადგა, თანაც სრული შთაბეჭდილება შექმნა, რომ ჯერ კიდევ შეეძლო ერთი მოქნევით გამარჯვება.

პირიქით კი მოხდა, მას მოხვდა მეტოქის მოქნეული და კომაში ჩავარდა, საიდანაც აღარ გამორკვეულა.

სკოტლანდი ტვინის დაზიანებამ ბრძოლიდან ექვსი დღის შემდეგ, 2 ივლისს მოკლა. ამ ბრძოლაში მას 7 ათასი დოლარი გადაუხადეს.

ზოგადად, რინგზე სიკვდილიანობა საკმაოდ ხშირია იმისათვის, რომ კრივს, როგორც სახეობას, რომელიც ადამიანის გამოთიშვის იდეაზეა აგებული, მოწინააღმდეგენი მოუმრავლდნენ, მაგრამ სკოტლანდის შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ საბედისწერო შემთხვევა ორგანიზატორთა უყურადღებობის ბრალი იყო — არავის წამოუწყია ასეთ დროს ჩვეული კამათი თემაზე: როდის უნდა შეწყვიტოს რეფერიმ ბრძოლა. თანაც, ამბულატორიაც იქვე, სრულიად მზად იყო.

დიახ, კრივს პირდაპირ გულში ურტყამს ასეთი შემთხვევები, მაგრამ ბრძოლათა უმეტესობა ხომ ტრაგიკულად არ მთავრდება. პირიქით, ხშირად ცოცხლდება ჩვენს ყოფაში სადღაც ჩაკარგული გმირული სული. სკოტლანდს იმ ბოლო რაუნდში მუშტის ერთი იღბლიანი მოქნევა და გამარჯვება რომ მოეხერხებინა, დამსწრე საზოგადოება თავს კარგად იგრძნობდა და გულის სიღრმეში დიდების შესაძლებლობაზეც კი დაიწყებდა ფიქრს.

მაგრამ, ხანდახან, პირიქით ხდება და დიდება იაფფასიან რაღაცად ჩანს. განსაკუთრებით უხეშად კი ეს კრივში, ჩვენი, რომაული ცივილიზაციის უკანასკნელ შემორჩენილ ფუფუნებაში იგრძნობა.

და ბითჰოვენ სკოტლანდის მსგავსი ახალგაზრდები ამას ყოველთვის შეეწირებიან.

**რიჩარდ ჰოფერი**

**„სპორტს ილუსტრეიტედი"**

**თარგმნა ტუტა სიხარულიძემ**

## კრივის ხუთი უდიდესი ტრაგედია

ჯორჯ სტივენსონი — გარდაიცვალა 1741 წელს, ინგლისის ჩემპიონატში ჯეკ ბრაფტონთან ბრძოლიდან რამდენიმე კვირაში. ჯეკ ბრაფტონი გახლდათ ადამიანი, რომელმაც ერთი ხნის შემდეგ კრივის პირველი წესები შემოიტანა.

ერნი შააფი — 1933 წელს, მძიმეწონოსან ჩემპიონ პრიმო კარნერასთან ბრძოლის მე-13 რაუნდში ნაწვნევი ნოკაუტის შემდეგ ოთხ დღეში გარდაიცვალა.

ჯიმი დოილი — 1947 წელს, ველტერის წონაში, შუგარ რეი რობინსონთან ბრძოლის შემდეგ 17 საათში გარდაიცვალა. როდესაც რობინსონს ჰკითხეს, ხომ გრძნობდი ბრძოლის დროს, რომ დოილი ცუდად იყოო, უპასუხა „სწორედ მეტოქის ცუდად გახდომაში მიხდიან ფულს".

ბენი (კიდ) პერეტი — 1962 წელს „მედისონ სკვერ გარდენში", ველტერის ტიტულისთვის ბრძოლის მე-12 რაუნდში ემილ გრიფიტმა დაანოკაუტა და 10 დღეში გარდაიცვალა.

დაკ კუ კიმი — MBA-ს მსუბუქწონოსან ჩემპიონ რეი მანჩინისთან ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა და ამის შემდეგ ბრძოლები 15-დან 12 რაუნდამდე შეამცირეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდის სუპერტურნირი

# ბრაიანგეიმზ ნეტუორკმა დამოუკიდებელი მოძრაობა დაიწყო

**დორტმუნდში** მნიშვნელოვანი პრესკონფერენცია ჩატარდა, რომელზეც მსოფლიოს ჩემპიონმა „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" ვერსიით, ვლადიმირ კრამნიკმა და იმავე კომპანიის დირექტორმა რეიმონდ კინგმა საზოგადოებას ამცნეს, რომ ერთ წელიწადში დორტმუნდი პრეტენდენტთა ტურნირს გამართავს, ხოლო მისი გამარჯვებული კრამნიკთან ფინალს ითამაშებს. ამით ცხრათვიანი ინფორმაციული ვაკუუმი შეივსო, „ბრაიანგეიმზ ნეტუორკმა" დუმილი დაარღვია და სიტყვიერად მაინც დაადასტურა, რომ სამომავლოდაც დარჩება ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ალტერნატიურ ორგანიზაციად.

კინმა ფულსა და რეგლამენტზეც ისაუბრა. 2002 წლის 6-დან 21 ივლისამდე გასამართი პრეტენდენტთა ტურნირის რვავე მონაწილე 30 ათას მარკას მიიღებს, მთლიანი საპრიზო ფონდი მინიმუმ 200 ათასი დოლარი იქნება, ხოლო ფინალის მონაწილეებზე არანაკლებ 2 მილიონი უნდა განაწილდეს და იგი სავარაუდოდ (99 პროცენტით, თქვა კინმა) 2002 წლის ოქტომბერში ბაჰრეინში გაიმართება, მომდევნო კი — 2004 წელს დორტმუნდშივე.

„პრეტენდენტთა ტურნირში პერსონალურად მოვიწვევთ გარი კასპაროვსა და ვიშვანათან ანანდს — განაცხადა კინმა — კიდევ ოთხ მოჭადრაკეს, რომელთაც იმ მომენტისთვის ფიდე-ს საუკეთესო რეიტინგი ექნებათ". საგულისხმო ნათქვამია. იგი მიუთითებს, რომ პროფესიული რეიტინგლისტის რეიტინგი ეცემა და კასპაროვის მეფობის შემდგომ ხანაში ქულათა დარიცხვის ფიდესეულმა სისტემამ გადასძალა. 8 მოჭადრაკე ორ ჯგუფად დაიყოფა და ორწრიან ტურნირებს გაითამაშებს. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალებს გამართავს (2 პარტია) და შემდეგ იქნება 4 პარტიისგან შემდგარი პრეტენდენტთა ფინალი კრამნიკთან თამაშის უფლებისთვის, ხოლო თვით საჩემპიონო ფინალში 16 პარტიას ვიხილავთ. თითქმის ყველაფერი ისეა, როგორც წინა საუკუნის 60-70-იან წლებში.

ვთქვით, რომ კასპაროვი, ანანდი და რეიტინგის ოთხი მოწინავე ყოველგვარი შერჩევის გარეშე ითამაშებენ პრეტენდენტთა ტურნირზე. მერედა, ფართო მასები სადღაა? სად არის ფიდესეული ზონალური და საზონათაშორისო ტურნირების ანალოგი, უბრალო ოსტატსაც რომ აძლევს წინ წაწევის შანსს? პრინციპში, არსად, რადგან „ბრაიანგეიმზელებს" დანარჩენი მსოფლიოსთვის ორი ადგილი დაუტოვებიათ და მათი გათამაშებისთვისაც რეალური კი არა, ვირტუალური ტურნირების მოწყობას გეგმავენ. ინტერნეტით გასამართი შესარჩევი ციკლი იაფი დაჯდება და თან ყოველი მონაწილე 10 დოლარს გადაიხდის, ჯერ წვრილფეხობიდან რვა საუკეთესო გამოვლინდება, ამათ შეემატება რვა მიწვეული. მერე 16 მოჭადრაკე კიდევ ერთ ინტერნეტ-ტურნირში დორტმუნდის ბოლო ორი საგზურის პატრონს დაადგენს. თან მთელი ეს ტურნირები იმართება სწრაფ ჭადრაკში (20 წუთი პარტიაზე). მოკლედ, „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" შესარჩევი ციკლი მეტისმეტად ჰაეროვანი და არასოლიდური ჩანს, მაგრამ ეს გასაგებია. პროფესიონალ მოჭადრაკეთა სრულ უმრავლესობას ფიდე აკონტროლებს თავიანთი ფედერაციებით, მათი გადაბირება კი ორი დღის საქმე როდია, ამიტომ პირველ ნაბიჯად ინტერნეტ-ტურნირიც სავსებით იკმარებს.

პრესკონფერენცია გახურებული საჭადრაკო ომების დროს ჩატარდა. წლეულს უმაღლესი, 21-ე კატეგორია დორტმუნდის სუპერტურნირს პრესტიჟს მატებს. მასზე პარტიათა ზუსტად ნახევარი ჩაატარეს კრამნიკმა, ვიშვანათან ანანდმა, პეტერ ლეკომ, ალექსანდრ მოროზევიჩმა, მაიკლ ადამსმა და ვესელინ ტოპალოვმა. ამ გონიერთაგან ანანდი თითქოს უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ არა — ხუთიდან ერთი პარტია წააგო (პირველად შარშანდელი ივლისის შემდეგ), სხვებში კი, მათ შორის მეხუთე ტურში კრამნიკთან, სამთქნარებელ ყაიმებს დასჯერდა. სამაგიეროდ, მძლავრია ტოპალოვი. მესამე ტურში მან ანანდის ცოდვა დაიდო, თან სრულიად ლოგიკურად. ხუთი წლის წინ ტოპალოვმა ზედიზედ მადრიდის, ლეონის, დოს ერმანასის, ამსტერდამისა და ნოვგოროდის ტურნირები რომ მოიგო, მსოფლიოს მესამე მოჭადრაკედ თვლიდნენ, მაგრამ 1998 წლიდან კრიზისი დაეწყო და მხოლოდ ახალ საუკუნეში უბრუნდება ძველსა და სახელოვან დონეს. ბულგარელის ლაზიერმა და სამმა პაიკმა ენდშპილში ანანდის წყვილი ეტლები და პაიკები დაჩაგრეს. წინა ტურში ტოპალოვს მოროზევიჩიც დაემარცხებინა და ლეკოსთან და კრამნიკთან ერთად 3 ტურის შემდეგ 2 ქულით დაწინაურდა. მეორე სამეულს თითო ქულა ჰქონდა და ცხრილის ასეთი სიმეტრია მეოთხე ტურში კრამნიკმა დაარღვია. მისი თეთრი კუ კარგა ხანს გარეგნულად უაზროდ მიდი-მოდიოდა მოროზევიჩის შავ ბანაკში, მერე კი გაირკვა, რომ მთავარი საქმე ეტვირთა და მოროზევიჩი ტურნირზე მეორედ დანებდა, რათა ერთპიროვნული აუტსაიდერი გამხდარიყო და გამწარებულს მომდევნო ტურშივე სისხლი აელო, ოღონდ ადამსისა. ინგლისურ დასაწყისში ინგლისელმა პაიკი შესწირა იმ ვარაუდით, რომ ფიგურებს აქტივობას შემატებდა და შავებით ყაიმს მიაღწევდა, მაგრამ რუსი ენდშპილში ზუსტი იყო და ის პაიკი კარგად გამოიყენა.

ხუთი ტურის შემდეგ ორი ჩემპიონი სულ სხვადასხვა ადგილასაა: კრამნიკი ლიდერობს, ანანდი თვლემს, თუმცა ვიშისგან მეორე წრეში მეტ სიფხიზლეს ელიან.

**დავით გულუა**

| ვითარება 5 ტურის შემდეგ |
|---|
| 1. კრამნიკი 3,5; 2-3. ლეკო, ტოპალოვი 3; 4-5. მოროზევიჩი, ანანდი 2; 6. ადამსი 1,5 |



მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

# ღია წყალში მუჯლუგუნით

**ღია** წყალში ცურვის დიდოსტატებმა, რომლებმაც საწყლოსნო სახეობათა მე-9 მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰაკატას ყურეში მოიყარეს თავი, ასპარეზობის პირველი დღისგან განსხვავებით, მანძილი გააორმაგეს, ისინი 10 კილომეტრზე მამოჩიჰამას სანაპიროს ტალღებს ეკვეთნენ.

თუ ორშაბათს ფუკუოკას მსოფლიოს ჩემპიონატზე 5 კილომეტრზე ასპარეზობისას ფინიშის ხაზი პირველად იტალიელებმა გადაცურეს, ამჯერად ისინი მხოლოდ ერთ საპრიზო ადგილს დასჯერდნენ. 23 წლის რუსი ევგენი ბეზრუჩენკო, რომელიც 5 კილომეტრზე ასპარეზობისას იტალიელ ლუკა ბალდინისთან დამარცხდა ახლა ფინიშის ხაზთან პირველი მიიჭრა და ჩემპიონობა მოიპოვა, რისთვისაც 2 საათი, 1 წუთი და 4 წამი დასჭირდა.

„ჩემს სტრატეგიაში გუნდთან ერთად ცურვა შედიოდა, ხოლო როდესაც ფინიშის ხაზს მივუახლოვდებოდი, მაშინ უნდა მიმეტანა იერიში. საბედნიეროდ, ყველაფერი გეგმისამებრ წარიმართა" — განაცხადა ღია წყლის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატის შარშანდელმა ბრინჯაოსანმა ბეზრუჩენკომ. მამოჩიჰამას სანაპიროზე მეორემ ამოყო თავი ბეზრუჩენკოს თანამემამულე თინეიჯერმა ვლადიმერ დიაჩინმა. იგი სულ რაღაც ერთი კორპუსით ჩამორჩა ჩემპიონს, — 2:01.06, თუმც გზაში იტალიელს სამუელ პამპანასგან არაერთი მუჯლუგუნის ატანა მოუხდა.

ხოლო როდესაც პამპანამ რუს მოცურავეს ვერაფერი მოუხერხა, იფიქრა, თანამემამულე ფაბიო ვენტურინის მაინც არ დავუთმობ მესამე ადგილსო და… კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია.

დიაჩინთან მუჯლუგუნების გამო იტალიელ პამპანას დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მესამეობა კი ვენტურინის ხვდა წილად. ბრინჯაოსანი იტალიელი მიუხედავად იმისა, რომ მსაჯთა გადაწყვეტილებით, იგი საპრიზოს მიღმა არ დატოვეს, ასეთი წარმატება გულში მაინც ხინჯად აქვს.

„რა თქმა უნდა, მედალმა გამახარა, ბედნიერი ვარ, მაგრამ ასეთი გზით რომ მოვიპოვე, თავს უხერხულად ვგრძნობ" — გაორებულია ვენტურინი.

მსაჯის გადაწყვეტილებით კმაყოფილი ჩანდა თავად დიაჩინიც. „იგი (პამპანა) მთელი მარშრუტი ხან იდაყვს მირტყამდა, ხან მუჯლუგუნს, განსაკუთრებით ამას მაშინ მოუხშირა, როდესაც ფინიშამდე ნახევარი მანძილი რჩებოდა. ამის გამო მართლაც ძნელი იყო მეორეობის შენარჩუნება. იგი უსამართლოდ მოიქცა" — 18 წლის მოსკოველი სტუდენტი პამპანას საქციელს გაენაწყენებინა.

5 კილომეტრზე ცურვაში, ბეზრუჩენკოს დარად, ქალთა შორის მეორე ადგილზე გამწესებული გერმანელი პეგი ბუხზე 10 კილომეტრზე ცურვაში უკეთ გაისარჯა და ოქროს მედალიც დამსახურებულად დაისაკუთრა. ჩემპიონის კვარცხლბეკზე ასასვლელად მას 2 საათი 17 წუთი და 32 წამი დასჭირდა.

„ფინიშის ხაზი რომ დავინახე, ამან ძალა შემმატა, რადგან ბოლო 500 მეტრის დასაძლევად მეტი სისწრაფე იყო საჭირო" — თქვა გერმანელმა მოცურავემ. მეორეზე, ისევე როგორც ვაჟებში, აქაც რუსი ირინა აბისოვა გავიდა. იგი ჩემპიონს სულ რაღაც 15 წამით ჩამორჩა. ხოლო ჰოლანდიელი ედიტ ვან დიიკი, რომელიც ბოლო ორ კილომეტრამდე ლიდერობდა კიდეც, მესამე ადგილზე აღმოჩნდა — 2:17.52.

**გიგა გურასაშვილი**

**10 კმ. ღია წყალში**

**ვაჟები**

1. ევგენი ბეზრუჩენკო (რუსეთი) 2:01.04
2. ვლადიმირ დიაჩინი (რუსეთი) 2:01.06
3. ფაბიო ვენტურინი (იტალია) 2:01.11

**ქალები**

1. პეგი ბუხზე (გერმანია) 2:17.32
2. ირინა აბისოვა (რუსეთი) 2:17.47
3. ედიტ ვან დიიკი (ჰოლანდია) 2:17.52



REUTERS

პეგი ბუხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურ დე ფრანსი

# ტურს ალპები უკან დარჩა




REUTERS

ფრანსუა სიმონმა პოდიუმზე თავისი გოგონა ალისიაც აიყვანა

**გუშინწინ** ჩატარებული ბრწყინვალე მაღალმთიანი ეტაპის შემდეგ, გუშინ „ტურის“ პელოტონში შემორჩენილმა 166 მრბოლმა 32-კილომეტრიან ინდივიდუალურ ოფლის ღვრაში მიიღო მონაწილეობა.

გრენობლიდან შამრუსისკენ მიმავალ გზაზე წინა დღესავით ლენს არმსტრონგი იყო უძლიერესი, რომელმაც უმთავრეს კონკურენტ იან ულრიხს ამჯერადაც აჯობა და ზუსტად ერთი წუთი მოუგო. საერთო ჩათვლაში ლიდერობა „ბონჟურის“ ფრანგმა ფრანსუა სიმონმა შეინარჩუნა, თუმცა, ალბათ, მხოლოდ ორიოდ დღით, რადგან პირინეის მთებში მან რომ ფავორიტებთან თანასწორად ბრძოლა შეძლოს, წარმოუდგენელი კი არა, ფაქტობრივად გამორიცხულია.

გზა მოკლე იყო, მაგრამ ურთულესი, რადგან თითქმის სულ აღმართს ბოლოში უმაღლესი კატეგორიის მთა ასრულებდა, რომლის მწვერვალამდეც მრბოლებს 18,7 კილომეტრი უნდა დაეძლიათ.

საფრანგეთის დროით 12 საათზე, ჩვენთან რომ ნაშუადღევის სამი საათი შესრულდა, საერთო ჩათვლაში ბოლო ადგილზე მყოფი ლეიზანი დაიძრა შამრუსისკენ. ამინდი საკმაოდ უჟმური იყო და ცოტათი წვიმდა კიდეც, რაც ეტაპს კიდევ უფრო ართულებდა. ლეიზანს მომდევნოები ერთწუთიანი ინტერვალით მიჰყვნენ, საერთო ჩათვლაში 1-83 ადგილზე მყოფებს კი სტარტზე ორ-ორი წუთი აშორებდათ ერთმანეთისგან.

ალპებში შეფენილი უამრავი მაყურებელი, რომელთაგან უმეტესობა, რა თქმა უნდა, ტურისტია, მრბოლებს მაგრად აგულიანებდნენ, მაგრამ ძირითადად მაინც ბელოკის, ულრიხის, მოროს და თავისთავად არმსტრონგის გამოჩენას ელოდნენ.

ამერიკელი 16 საათსა და 02 წუთზე გამოჩნდა სტარტზე, მაშინ, როცა რობერტო ლაისეკამ რბოლა დაამთავრა. „ესკალტელის“ წევრმა ინიგო კუესტას დროს ორი წუთი ჩამოაჭრა და გალიდერდა. თუმცა არმსტრონგს, ულრიხს და კომპანიას ჯერ ფინიშამდე არ მიეღწიათ.

6,5 კილომეტრის გავლის შემდეგ ტელეკომელსა და პოსტალელს ერთნაირი შედეგი ჰქონდათ. მერე ამერიკელმა თანდათანობით უპირატესობის დაგროვება დაიწყო. კიდევ 7 კილომეტრით გვიან „ტურის“ ორგზის ჩემპიონი მოწინააღმდეგეს 11 წამს უგებდა. უკვე დანამდვილებით შეიძლებოდა თქმა, რომ არმსტრონგს წინადღეს დახარჯული ძალები მშვენივრად აღედგინა.

ულრიხმა შამრუსის აღმართზე სიჩქარე გაზარდა და მეორე საშუალედო ფინიშზე საუკეთესო დროც აჩვენა. იგი გონსალეს დე გალდეანოს 50 წამს უგებდა. თუმცა ამ ადგილას არმსტრონგმა რომ გამოიქროლა, მას კონკურენტზე 47 წამით უკეთესი შედეგი ჰქონდა. შემდეგ ამ დუეტს შორის სხვაობა ცოტა ხნით 5-7 წამით შემცირდა, მალე კი ისევ ზრდა დაიწყო.

რბოლის დაწყებიდან 1 საათის, 08 წუთისა და 27 წამის შემდეგ ულრიხმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, რამდენიმე წუთში კი შამრუსს არმსტრონგმაც უწია, ოღონდ ამას ერთი წუთით ნაკლები დრო დაახარჯა.

დღეს, თერთმეტი ეტაპის თავზე, პელოტონი ისვენებს, ხვალ კი უკვე პირინეის მთებს შეუყვება. შამრუსიდან პერპინიანამდე სპორტსმენებს თვითმფრინავი გადაიყვანს, რაც ბევრს ერთობ არ მოსწონს. მერე მრბოლებს ცოტა ხნით ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე დასვენების საშუალებაც მიეცემათ, მაგრამ დიდი ხნით პლაჟებზე კოტრიალი და განცხრომა არ შეიძლება.

ხვალ ხომ ისევ „ტურია“!

### მეთერთმეტე ეტაპი

გრენობლი — შამრუსი, ინდივიდუალური რბოლა, 32 კმ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 1სთ 07წთ 27წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +1წთ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +1წთ 35წმ
4. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) +2წთ 03
5. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) +2წთ 24
6. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +2წთ 31
7. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) +2წთ 43
8. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) +3წთ 00
9. სვენ მონტგომერი (შვეიცარია, ფრანსეზი) +3წთ 07
10. სტეფანო გარძელი (იტალია, მაპეი) +3წთ 08

### საერთო ჩათვლა

1. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, ბონჟური) 46სთ 48წთ 36წმ
2. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +11წთ 01
3. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +13წთ 07
4. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +16წთ 17
5. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +16წთ 41

# შარდის გამყინავი

**ფელისია ბალანჟემ** ნამდვილად იპოვა საშუალება, ურწმუნო თომები ჩაეჩუმებინა და დაემტკიცებინა, რომ კარიერაში დოპინგი არ გამოუყენებია — მან თავისი შარდი და სისხლი გააყინინა და ლაბორატორიას ჩააბარა, როცა ახლა არსებული ყველა დოპინგის აღმოჩენა შეგეძლებათ, მერე შეამოწმეთო.

სამგზის ოლიმპიური და ათგზის მსოფლიოს ჩემპიონი ქალი, სხვა სინჯის მედლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სიდნეის ოლიმპიადაზე უძლიერესი იყო გამოდევნებით რბოლაში და 500 მეტრზე, რის შემდეგაც თავისი სპორტული კარიერის დასრულების შესახებ ამცნო საზოგადოებას და საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. კარიერის მანძილზე მოპოვებულ ტიტულებზე არანაკლებ ფელისია სიდნეის ოლიმპიადის დახურვაზე საფრანგეთის დროშის ტარების პატივს აფასებს.

„არ მინდა, რამდენიმე წლის შემდეგ ვინმემ თქვას, ბალანჟეს დროს ამ პრეპარატის აღმოჩენა შეუძლებელი იყოო. არ მინდა, ვინმემ ერთი უბრალო, შეიძლება დაუკვირვებელი ფრაზით გადაუსვას ხაზი მთელს ჩემს კარიერას მაშინ, როცა, მუდმივად ვიცავდი წესებს“ — განაცხადა „ტურ დე ფრანსზე“ ერთ-ერთი სპონსორის მიერ ქალთა ველოსპორტის რეკლამირებისთვის მიწვეულმა ბალანჟემ.

ვანდეელმა თავისი ანალიზების გაყინვა 1998 წლის „ტურ დე ფრანსზე“ მომხდარი დოპინგ-სკანდალის შემდეგ გადაწყვიტა. „ხალხმა დოპინგი და ველოსპორტი ერთმანეთს დაუკავშირა. ჩემს ფსიქოლოგ ჟილბერ ავანზინისთან კონსულტაციის შემდეგ, იმავე წელს ბორდოში გამართული ტრეკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს ჩემი ანალიზების ლოზანის ლაბორატორიაში შენახვა ვთხოვე და დასტურიც მივიღე“ — იხსენებს ფელისია ბალანჟე.

30 წლის მასწავლებელს თავად მწვრთნელობა არ სურს და არც დოპინგთან ბრძოლითაა ფედერაციაში დაკავებული. მისი საქმიანობა ტრეკისა და კარიერადამთავრებული სპორტსმენებისთვის ახალი სამსახურების გამოძებნით შემოიფარგლება. ბალანჟეს ძალიან უნდა, ახალგაზრდობა ტრეკზე მიიზიდოს. „არაა აუცილებელი, მაინცდამაინც უდიდეს შედეგებს მიაღწიო და ფლორიან რუსოს ან ფელისია ბალანჟეს გაუთანაბრდე, უბრალოდ, ტრეკის ველოსპორტით მოყვარულის დონეზე დაკავებაც უკვე მშვენიერი იქნება“ —ეუბნება ხოლმე ბალანჟე ახალგაზრდებს.

საინტერესოა, რომ ბალანჟეს დედამ მომავალ დიდ სპორტსმენს სახელი საგზატკეცილო ველოსპორტის უდიდესი იტალიელი ჩემპიონის, ფელიჩე ჯიმონდის პატივსაცემად დაარქვა, მაგრამ გოგონამ გზების ნაცვლად ტრეკი აირჩია.

### ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



*ქალაქი მოძრაობაში — გამომგონებელი, ინდუსტრიული, დინამიური, სიახლეების მოყვარული, სტუდენტური, მულტიკულტურული... ასე ახასიათებენ ფრანგები „ტურის“ მეთერთმეტე ეტაპის სტარტის ადგილს, გრენობლს. ეს ქალაქი ყველაფერს აკეთებს და ძალიან ახლოსაცაა მიზანთან — გახდეს საფრანგეთის ალპების დედაქალაქი. აქ 15 ათასი მეცნიერი და 55 ათასი სტუდენტია. ამიტომაც გრენობლი ლიდერია სამეცნიერო კვლევა-ძიებების საქმეში. მე-19 საუკუნეში აქ აღმოაჩინეს თეთრი ზეთი და მისი გამოყენებაც დაიწყეს; გასულ საუკუნეში მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატის ლუი ნეელის თაოსნობით ატომური ენერგიის კომისარიატი დაარსდა; 1968 წელს გრენობლმა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა; დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურ სარაგბო კლუბში მომავალი სეზონიდან ორი ქართველი — პალიკო ჯიმშელაძე და ვასილ კაცაძე ითამაშებს.*

---



*ზღვის დონიდან 1700 მეტრ სიმაღლეზე მდებარე შამრუსი გრენობლს დასცქერის. იგი ბელდონის ქედის სამხრეთ კალთაზე, გრენობლიდან ნახევარი საათის, ლიონიდან კი ერთი საათის სავალზეა. ეს, რა თქმა უნდა, მანქანით, თორემ ველოსიპედით ამ მანძილის გავლას რა დროც სჭირდება, გუშინდელი ეტაპის შედეგებით შეგიძლიათ შეიტყოთ. შამრუსი ორ დაბას აერთიანებს: ზღვის დონიდან 1650 მეტრზე მყოფ რეკუენსა და მასზე ასიოდე მეტრით მაღლა მდებარე როშ ბერანჟეს. მოთხილამურეებისთვის აქ ჯამში 77 კილომეტრი სიგრძის გზაა, ზაფხულში კი შამრუსს ველოს, მთამსვლელობის, ჩოგბურთის, ცხენოსნობის და სხვა სპორტთა მოყვარულები ეწვევიან ხოლმე დასასვენებლად.*

### ერთი დღის ისტორია

**სამი** წლის წინანდელი 18 ივლისი „ტურ დე ფრანსის“ და საერთოდ ველოსპორტის ისტორიაში უდიდესი სკანდალით შევიდა. „ფესტინას საქმე“ — ასე მოინათლა მაშინდელი ამბები. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ორგანიზატორების განცხადება, რომ მათ ფრანგულ-ანდორული გუნდი შეჯიბრიდან მოხსნეს. თუმცა ცა მთლიანად მოწმენდილი ნამდვილად იყო. საავდრო ღრუბლებმა ჯერ კიდევ ათიოდ დღით ადრე დაიწყეს თავმოყრა. მაშინ ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე „ფესტინას“ მასაჟისტი, ბელგიელი ვილი ვოე დააკავეს, რადგან მებაჟეებმა მანქანაში დოპინგი აღმოუჩინეს. იქიდან მოყოლებული დაიწყო კიდეც გამოძიება, რომელიც მთლიანად ჯერაც არ დასრულებულა. „ფესტინას“ სპორტულმა დირექტორმა ბრუნო რუსელმა წინა დღეს, 17 ივლისს, გაიგო, რომ მის გუნდს შაბათის ეტაპზე აღარ უშვებდნენ და ეს ამბავი თავის მრბოლებსაც ამცნო. თუმცა რიშარ ვირანკი, ალექს ცულე, ლორან ბროშარი, ლორან დიუფო და სხვები ინდივიდუალური რბოლის სტარტზე მაინც გამოცხადნენ, თუმცა ამაოდ. „ტურ დე ფრანსის“ ხელმძღვანელებმა თავიანთი გადაწყვეტილება აღარ შეცვალეს მიუხედავად იმისა, რომ მაყურებლებისგან საკმაო ზეწოლასაც განიცდიდნენ. ხალხი კი კაფე „შე გილუში“ ჩატარებული ფესტინელთა პრესკონფერენციის შემდეგ აბობოქრდა, სადაც მრბოლებმა დაიფიცეს, დოპინგს არც გავკარებივართო. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ისინი ტყუოდნენ. მალე მათმა უმრავლესობამ აღიარა, რომ მასტიმულირებელ საშუალებებს იღებდნენ. ასეა თუ ისე, 1998 წლი „ტურ დე ფრანსი“ კინაღამ ჩაიშალა, რადგან შვეიცარიაში გადასვლისას კიდევ ბევრმა სპორტსმენმა ნებაყოფლობით მიატოვა იგი. საბოლოოდ შეჯიბრი მაინც დამთავრდა. გამარჯვება მარკო პანტანის ხვდა წილად.

# სად უკრაინელი ბავშვები, სად ტურ დე ფრანსი?!



იან მოორსი, ანდრეი მიხაილოვი და სეეს პრიემი

**კიდევ** ერთი დოპინგ-პროცესი დასრულდა საფრანგეთში და „ფესტინას“ საქმის“ მსგავსად ისიც 1998 წლის „ტურ დე ფრანსთან“ იყო დაკავშირებული.

სამი წლის წინ, 9 მარტს, რეიმსის მახლობლად მებაჟეებმა ჰოლანდიური გუნდის „ტვმ“-ის კუთვნილ მანქანაში ერითროპოიეტინის 104 დოზა აღმოაჩინეს. რამდენიმე თვის შემდეგ „ტურისას“ ჰოლანდიელთა საბარგო მანქანაში და სასტუმროში, სადაც მრბოლები იყვნენ გაჩერებულნი მომდევნო ეტაპის დაწყებამდე, სხვა აკრძალული პრეპარატები და ორგანიზმში მათი კვალის შემნიღბავი წამლები იპოვეს და გამოძიებაც დაიწყო, რომელსაც სასამართლო გარჩევა ახლაღა მოჰყვა.

პროკურორმა დოპინგის ორგანიზატორისა და გუნდის სპორტული დირექტორის სეეს პრიემისთვის ორწლიანი პირობითი თავისუფლების აღკვეთა და 100 ათასი ფრანკი ჯარიმა მოითხოვა. ექიმი ანდრეი მიხაილოვი 18 თვით პირობით დავატუსაღოთ და 10 ათასი ფრანკი გადავახდევინოთ, მასაჟისტ იან მოორსს კი 10-თვიანი პირობითი ციხე ვაკმაროთ, ოღონდ 40 ათასი ფრანკი გადაიხადოსო, ბრძანა პროკურორმა.

განსასჯელთა ადვოკატებმა თავიანთი კლიენტების უპირობოდ განთავისუფლება მოითხოვეს, აქაოდა, მათ წინააღმდეგ პირდაპირი სამხილები არ არსებობს და ირიბი ფაქტებით დასჯა ადრე კიდევ ჰო, მაგრამ 21-ე საუკუნეში ნამდვილად აღარ შეიძლებაო. პრიემისა და მოორსის ვექილების საქმე გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე მიხაილოვისა, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი მართავდა საბაჟოზე ჩავარდნილ მანქანასაც და „ტურისას“ დაკავებულ საბარგოსაც. თუმცა მისი ადვოკატი საკმაოდ კარგად მომზადებულიყო და განაცხადა, ბატონ ექიმს ეპო და სხვა წამლები მრბოლთა შედეგების გასაუმჯობესებლად კი არ უნდოდა, არამედ უკრაინელი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდო (?!). მიხაილოვს, ალბათ, „ტურის“ შემდეგ სურდა უკრაინაში გავლა და არ დასცალდა. ადვოკატმა ისიც დაამატა, ეს ნივთიერებები საფრანგეთში კია შავ სიაში, მაგრამ ესპანეთში თავისუფლად იყიდებოდა და ჩემს კლიენტს პირინეებს აქეთ გადმოსვლისას აზრადაც არ მოსვლია, რომ რაიმე უკანონობას სჩადიოდაო.

კარგად კი ილაპარაკეს ადვოკატებმა, თუმცა მოსამართლე მაინც ვერ დაარწმუნეს „ტვმ“-ს თავკაცთა უდანაშაულობაში და გუშინწინ მათ შემდეგი სასჯელები დაედოთ: სეეს პრიემს 18 თვე ციხე და 80 ათასი ფრანკი; ანდრეი მიხაილოვს ერთი წელი ციხე და 60 ათასი ფრანკი; იან მოორსს 6 თვე ციხე და 10 ათასი ფრანკი. თავისუფლების აღკვეთა სამივე შემთხვევაში პირობითია. გარდა ამისა, სამეულმა დოპინგის საფრანგეთში შემოტანისათვის, რაც კანონით აკრძალულია, საბაჟოს 65 ათასი ფრანკი, ხოლო პრესტიჟის შელახვისათვის საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციას და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს სიმბოლურად თითო-თითო ფრანკი უნდა გადაუხადოს. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ათი დღე გამოიყო.

**გაგი გურული**

# შუში გადარჩა



REUTERS მონცადან

აბა, რა ამბავია მონცაზე? მუშები შალითაში ახვევენ დალეწილ „ფერარის“, რომლის პილოტსაც ტესტირების დროს ფარსაგი საქმე მოუხდა. პილოტი კი არც მეტი, არც ნაკლები, მიხაელ შუმახერი იყო. ჩემპიონი სასწრაფოდ ექიმებთან გააქანეს, თუმცა, მალევე გაირკვა, რომ იგი სრულიად უვნებელი გადარჩენილა. „ფერარის“ ინჟინერი ლუკა ბადისერი (მარცხნივ), ტექნიკოსი მასიმო ბალოკი და თავად შუმახერი მაინც ერთგვარად შეფიქრიანებულნი ბრუნდებიან მედპუნქტიდან.






REUTERS ლალპ დუეზიდან

## ლენსი მთას ჯობნის

„ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ ორჯერ მომგებმა ამერიკელმა ლენს არმსტრონგმა წლევანდელი შეჯიბრის მეათე ეტაპი მოიგო. 209-კილომეტრიანი სამთო გზა ლალპ დუეზამდე ლენსმა მალიმალ ადევნებულ გიჟმაჟ გულშემატკივრების თანხლებით გაიარა.



REUTERS ვაშინგტონიდან

## იაგრი დედაქალაქში

თერთმეტი სეზონის გაატარა „პიტსბურგ პინგვინზის“ ჰოკეისტთა გუნდში ჩეხმა მთავარმეგოლემ, იარომირ იაგრმა და ამ კლუბის ლეგენდადაც იქცა. მაგრამ ახლა ჩეხი ვარსკვლავი თეთრი სახლის წინ დგას და „ვაშინგტონ კეპიტალზის“ ფორმა აცვია. ახალი სეზონიდან იაგრი ამერიკის დედაქალაქის გუნდში ითამაშებს. ეს დიდი შენაძენია, 1998 წლიდან მოყოლებული იაგრი ლიგის უცვლელი ბომბარდირია.

# მეფე და პრეზიდენტი

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული პრეზიდენტი ჟაკ როგი. რა გასაკვირია, რომ ოლიმპიელთა ახალი თავკაცის პირველი მასპინძელი ბელგიის მეფე ალბერი იყო, რომელმაც ბრიუსელის სასახლეში მიიღო თავისი მაღალჩინოსანი ქვეშევრდომი.


REUTERS ბრიუსელიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge